ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 16 სექტემბერი, 2013 №219 (6220) ფასი: 30 თეთრი

11 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
ოკეანეები
10 ლარი




# სვანეთი სახალხო მღელვარების ზღვარზეა



გვ. 3

რა მოხდება 17 სექტემბერს ხაიშში



## ნანა დევდარიანი: „ივანიშვილის განცხადებები მარგველაშვილს ხელს უშლის“

გვ. 2

## დღეს საქართველოში ახალი სასწავლო წელი იწყება

გვ. 7

## სანდრო ბრეგაძე: „ვინც ვადამდელ არჩევნებს ეწინააღმდეგება, ნაციონალებთან არის შეკრული“

რესპუბლიკელები თავისას ვერ გაიტანენ!



გვ. 5

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაციონალები კრიმინალურ ფაქტებს მალავდნენ“

გვ. 4





გვ. 5

## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილს შემოვლითი რკინიგზა ჭორვილას საცალფეხო ბილიკი ხომ არ ჰგონია?!“



გვ. 6

## ოთარ ხუფენია: „საქართველოს ფინანსური კრიზისი არ ელოდება“

ნაციონალებმა და მეოცნებეებმა ბიზნესსფეროები გადაინაწილეს



გვ. 2

## აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს

ISSN 1987-9385

4 ქდმ საარსებო მინიმუმის შესახებ კანონპროექტს პარლამენტში სექტემბრის ბოლოს წარადგენს

2 ილია II: „პრემიერი ოპტიმისტურად არის განწყობილი“

4 ივანიშვილი და კალაძე „შუახევჰესის“ მშენებლობას ჩაუყრიან საფუძველს

6 სერგო რატიანი: „თურქეთის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილება პრეზიდენტს 1-2 დღეში არ მიუღია“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრის ბიზნეს-ცენტრში გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა. ბიძინა ივანიშვილმა მინისტრთა კაბინეტის წევრებთან 22 საკითხი განიხილა. ერთ-ერთი საკითხი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განკარგულებაა. აღნიშნულთან დაკავშირებით პრესასთან საქარ-



თველოს საგარეო უწყების პოზიცია მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა დააფიქსირა.

— მას შემდეგ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა შევიდა ინიციატივით პრეზიდენტთან, რომ გაფორმებულიყო ე.წ. საზღვარი რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს შორის, ჩვენ მყისიერად საპროტესტო ნოტით მივმართეთ რუსეთის ფედერაციას. ჩვენ გავგზავნეთ საპროტესტო ნოტა შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით, სადაც აღნიშნულია, რომ ნებისმიერი მსგავსი სახის ხელშეკრულების გაფორმება არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, მას არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს და იგი ბათილად იქნება ცნობილი საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, — აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკვე მისცა ოფიციალური მითითება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აწარმოოს მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთთან და რუსეთის ფედერაციის სახელით ხელი მოაწეროს შეთანხმების მიღწევის შესახებ დოკუმენტს. აღნიშნული შეთანხმების გაფორმებას სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობა ითხოვდა. პუტინის შესაბამისი დოკუმენტი უკვე გამოქვეყნდა და ის 12 სექტემბრითაა დათარიღებული.

საქართველოს კანონმდებლობით სამხრეთ ოსეთი აღიარებულია ოკუპირებულ ტერიტორიად, რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

ზურაბ აბაშიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხებში, აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩააყენებს დასავლეთს საქმის კურსში და საერთაშორისო ორგანიზაციების კუთხით გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები:

— ეს ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, არანაირი სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, არის ადმინისტრაციული საზღვარი, რომლის გასწვრივაც რუსეთის მიერ სრულიად უკანონოდ იქმნება მავთულხლართების რაღაც ზოლი, შენდება კედელი, რომელიც ჰყოფს ადამიანებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრობენ. ეს მხოლოდ მიუღებელი ფაქტია, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

აბაშიძის თქმით, მორიგი შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან მომავალი კვირის ბოლოს გაიმართება, თუმცა ამ შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე არ იქნება საუბარი:

— ჩვენ განვიხილავთ იმ საკითხებს, რომლებზეც ვმსჯელობთ დიალოგის დაწყებიდან. პრინციპში, ამ საკითხების მოგვარება დასასრულს უახლოვდება, ერთი-ორი საკითხი დარჩა, რაც დაკავშირებულია სავიზო რეჟიმთან, სატრანსპორტო კავშირების რაღაც კონკრეტული მხარეების მოგვარებასთან, კერძოდ, ავიარეისებთან. ასევე, ჩვენ ვიმსჯელებთ სამომავლო თემებზე, ჯერჯერობით მხოლოდ იდეების დონეზე, თუ რა შეიძლება, რომ შემდგომ ეტაპზე ჩვენი დიალოგის თემა იყოს, — გვითხრა აბაშიძემ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთსა და ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის შესახებ დოკუმენტის მომზადებას არანაირი სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს. ზაქარეიშვილის თქმით, არანაირი რუსეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვარი არ არსებობს. ეს საქართველოს საზღვარია. თუმცა, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ვიდრე რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტი არსებობს, ეს საკითხი ყოველთვის ჰაერში იქნება გამოკიდებული.

— რუსეთი ამ დოკუმენტის მომზადებით საერთაშორისო სამართალს არღვევს, რაზეც საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაბამის განცხადებას გააკეთებს. ჩემთვის კი მთავარია, იმ ხალხს მივხედოთ, ვინც დაზარალდა და საოკუპაციო ხაზის მიღმა აღმოჩნდა. ეს უფრო სერიოზული პრობლემაა, რადგან აღნიშნულ დადგენილებას მსოფლიოში არავინ არ აღიარებს. ის უბრალო ქაღალდია, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ამბობს, რომ ქართული მხარე აპირებს გაარკვიოს, რუსეთ-საქართველოს გზის დაღესტნის მონაკვეთზე რა სამუშაოები მიმდინარეობს.

— ჯერჯერობით ამ საკითხის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. რუსული მხარე არ დაგვკავშირებია, — დასძენს ნარმანია.

რუსეთ-საქართველოს გზის დაღესტნის მონაკვეთზე, რომელიც 1992 წლიდან ჩაკეტილი იყო, რუსეთის მხარე აღდგენით სამუშაოებს იწყებს. აღნიშნულ ინფორმაციას დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროში ადასტურებენ.

# ნანა დევდარიანი: „ივანიშვილის განცხადებები მარგველაშვილს ხელს უშლის“

ნათია ხურცილავა

**„მედიაინფოს" პრესკლუბში ყოფილმა სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა „ახალი თაობის" კითხვებს უპასუხა:**



— ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში ვართ. ეს არის პირველი არჩევნები ბოლო 20 წლის განმავლობაში, სადაც გამოკვეთილი ქარიზმატული ლიდერი არ გვყავს, რომელიც იმთავითვე გამარჯვებულად გამოცხადდება. წინასწარ იყო ცნობილი, გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის არჩევნების დროს თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის მომავალი ლიდერი. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან თითქმის ერთი წელი გადის, მაგრამ რეალურად ხელისუფლება არ შეცვლილა. საპარლამენტო არჩევნები არ ნიშნავს იმას, რომ სახელისუფლო ვერტიკალი შეიცვალა. ამას დაემატა მახინჯი ფორმის კოჰაბიტაცია. ეს ამომრჩევლების გულისწყრომას იწვევს, ამიტომ თქვა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, რომ კოჰაბიტაციას 27 ოქტომბერს დავასრულებო. ეს ცრუ დაპირებაა, რადგან კოჰაბიტაციის დასრულება შეუძლებელია.

*— რატომ?*

— პრეზიდენტის არჩევით ის კოჰაბიტაცია, რაც მიმდინარეობს, არ დასრულდება, რადგან პარლამენტში რჩება 40 პროცენტი „ნაციონალური მოძრაობიდან“. ადგილობრივ თვითმმართველობებში უმრავლესობით „ნაციონალური მოძრაობაა“. ასევე ყოფილი ნაციონალები მმართველ კოალიციაში გადავიდნენ. ყველაზე საგანგაშოა ის, რომ თვალნათლივ ჩანს ძველსა და ახალ მთავრობას შორის გარიგების მომენტები. კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებები, რომ მეორე ადგილზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, ბაქრაძის გასვლა ურჩევნიათ, ვიდრე ბურჯანაძის ეს ამის სიგნალია. ამ შემთხვევაში ბაქრაძე ლეგიტიმურად აღიარებს მარგველაშვილის გამარჯვებას. ამიტომ ვამბობ, რომ პრეზიდენტი უკეთესია ჩვენი ქვეყნისთვის რომელიმე მესამე ძალის წარმომადგენელი იყოს, რომ დაბალანსება იყოს შესაძლებელი. ბალანსირება ყველაზე მნიშვნელოვანია. პრეზიდენტი მიუხედავად იმისა, რომ მას შეკვეცილი აქვს უფლებები, მაინც არის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი. ამიტომ პრეზიდენტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს. თუ საპრეზიდენტო კანდიდატებს გადავავლებ თვალს მარგველაშვილის მიმართ არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს. ყოველთვის სიმპათიით ვიყავი ამ პიროვნების მიმართ განწყობილი, მაგრამ მთავარი არის, ეს არჩევანი რას მოგვიტანს. როგორ გამოდგება ესა თუ ის კანდიდატი პრეზიდენტის რანგში. როგორ გაართმევს თავს იმ ამოცანას, რომელიც მის წინაშე იქნება და ქვეყნის წინაშე. ბაქრაძეზე არ ვისაუბრებ, რადგან მისი ამოცანაა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ადგილი შეინარჩუნოს. ერთადერთი ოპოზიციური ძალის როლი ჰქონდეთ. „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ერთადერთი ოპოზიცია, მეტიც, ამ პარტიის მიმართ უამრავი პრეტენზია არსებობს. უამრავი კითხვა არსებობს მათთან სამართლებრივი, მორალური თუ ზნეობრივი ხასიათის. მათი მმართველობის სტილი სრულიად მიუღებელი იყო, ამიტომ მეორე ადგილი სრულიად თავსმოხვეულია.

***— რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რამდენად შესაძლებელია?***

— ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ ვადამდელი საპარლამნტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, რაც მთლიანად ეხმიანება საზოგადოების მოთხოვნებს. ფაქტია, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურს 40 პროცენტი იყოს პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა. თუ ვინმეს არ უნდა უნდოდეს ნინო ბურჯანაძე, პირველ რიგში ეს მე უნდა ვიყო, რადგან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პოლიტიკური კარიერა დავასრულე. მაგრამ მე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გამოვდივარ.

***— ნინო ბურჯანაძე უკვე იყო ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ქვეყნის მეორე პირი, პრეზიდენტის შესუსტებული პოზიციიდან რისი შეთავაზება შეუძლია ქვეყნისთვის?***

— 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა მიხეილ სააკაშვილმა მას შემდეგ განახორციელა, რაც ბურჯანაძე ხელისუფლებიდან გავიდა. მანამდე მას ჰქონდა მსგავსი მცდელობები, მაგრამ როგორც ჩანს, ბურჯანაძე მაინც იყო ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი. ხელისუფლებაში ყოფნა უზარმაზარი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. ასევე მან გაათავისუფლა პოლიტპატიმრები.

***— ირაკლი ბათიაშვილი...***

— სულხან მოლაშვილიც. უნდა აღვნიშნო, რომ ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში ნინო ბურჯანაძემ ბევრი ისწავლა სხვებისგან განსხვავებით. ნინო ბურჯანაძეს ასევე შეუძლია რუსეთსა და ევროპას თანაბრად ესაუბროს. ეს ჩემთვის სერიოზული ფაქტორია. ის, რომ ბურჯანაძემ პუტინს ხელი ჩამოართვა, არ არის მისი მინუსი, არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც ხელი პუტინმა კი არა ჟირინოვსკიმაც კი არ ჩამოართვა. მე არ მინდა ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც მხოლოდ დასავლეთთან შეუძლია საუბარი ან მხოლოდ რუსეთთან.

***— როგორ შეაფასებთ პრემიერის განცხადებას პოლიტიკიდან წასვლასთან დაკავშირებით? ამ შემთხვევაში რა სურათი შეიძლება მივიღოთ?***

— პრემიერ-მინისტრის განცხადება ხელს უშლის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიას, რადგან ბიძინა ივანიშვილს უჭერს ხალხი მხარს და სწორედ მისი პოლიტიკაში დარჩენის შემთხვევაში მისცემენ, როგორც მის კანდიდატს ხმას მარგველაშვილს, მაგრამ თუ მიდის მაშინ? ბიძინა ივანიშვილის გარეშე გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი მოახერხებს იმ ამოცანების გადაჭრას, რომელიც ქვეყნის წინაშე იქნება? ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება.

# ილია II: „პრემიერი ოპტიმისტურად არის განწყობილი“

„პრემიერ-მინისტრს აქვს გეგმები, თუ როგორ შექმნას სამუშაო ადგილები და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობა აღორძინდეს“ ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილსის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გუშინ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას ქვეყნისთვის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

„3 დღის წინ ბატონ ბიძინასთან შეხვედრა მქონდა. ჩვენ გვქონდა საუბარი აქტულურ საკითხებზე. ის ოპტიმისტურად უყურებს ჩვენი ქვეყნის მომავალს და ისეთი არგუმენტები მოჰყავს, რითაც ყველას აჯერებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთმა ინებოს, რომ ყველაფერი კარგად იყოს. მეც ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. არ შეიძლება, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა დაეცეს და მას მტერმა სძლიოს. უფალმა აკურთოს ერი თავისი მშვიდობით. ღვთის ერი უნდა ვიყოთ, ესაა მთავარი. ამ შემთხვევაში ჩვენ მუდამ გამარჯვებულები ვიქნებით. პრემიერ-მინისტრი დიდი ყურადღებას აქცევს, თუ რა იქნება მომავალში, როგორ შეიძლება, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდეს და რა უნდა გაკეთდეს, რომ სოფლის მეურნეობა აღორძინდეს. მას ამასთან დაკავშირებით რეალური გეგმები აქვს. მინდა, გითხრათ, რომ სოფლის მეურნეობაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. თუ ეს დარგი გაძლიერდა, ჩვენზე ბედნიერი ერი დედამიწაზე არ იქნება. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ შორმას და არ უნდა ვუყუროთ სხვა ეროვნების ადამიანებს, როგორ ამუშავებენ მიწას, რადგან ისინი თავისთვის მუშაობენ და არა ჩვენთვის, ამიტომ უნდა მივუბრუნდეთ შრომას და არ უნდა მოვაცდინოთ მიწები. იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლება რიონებში ხალხს დაასაქმებს, რომ მიწები დაამუშავონ. ყოვლად დაუშვებელია მიწების მოცდენა“, — ბრძანა პატრიარქმა.

პირველი



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევეჯრაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა ტვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სვანეთი სახალხო მღელვარების ზღვარზეა

შორენა მარსაგიშვილი

## რა მოხდება 17 სექტემბერს ხაიშში

**სვანეთში ვითარება ყოველდღიურად იძაბება. გიგანტური ჰესების მოყვარულების დაუოკებელმა სურვილმა შესაძლოა სვანეთი სახალხო მღელვარებამდე მიიყვანოს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ახალი ხელისუფლება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე გადაერთო. ჰესიანობას ვერც უმშვენიერესი სვანეთი გადაურჩა. საოცნებო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, აქ ხუდონჰესი ააშენოს. ხელისუფლების წარმომადგენლებს საერთოდ არ ადარდებთ ის ფაქტი, რომ ამ ჰესის აშენებამ შესაძლოა მთელი სვანეთი დატბოროს.**

თავის დროზე ხუდონჰესის აშენება კომუნისტებსაც სურდათ. მაშინ ამის წინააღმდეგ მთელი საქართველო გამოვიდა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ხალხის პროტესტის წინააღმდეგ წასვლა აღარ გარისკა. მაშინ სვანეთი გადარჩა. სვანები ალბათ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამ პრობლემის წინაშე მშობლიური ხელისუფლებაც დააყენებდა.

გიგანტური ჰესების მშენებლობის იდეით ნაციონალები გამოვიდნენ. ხალხის პოზიცია ცხადია არც მათ გაითვალისწინეს. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა. საპარლამენტო არჩევნების წინ ისინი მოსახლეობას დაჰპირდნენ, რომ გიგანტური ჰესების მშენებლობას არ დაუშვებდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი სხვა ნოტაზე დაიწყეს ჭიკჭიკი. ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დაუფარავად და ღიად უჭერს მხარს ამ პროცესს. მას უფლებადამცველები გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაშიც სდებენ ბრალს.

### სვანეთი დათმობაზე არ მიდის

17 სექტემბერს ხაიშში საპროტესტო აქციაა დაგეგმილი. ადგილობრივი მოსახლეობა ხუდონჰესის მშენებლობას გააპროტესტებს. პროტესტის ფონზე ჰესის პროექტის განხილვაც გაიმართება. იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება მაინც გადაწყვეტს ჰესის აშენებას სვანეთის მოსახლეობა სერიოზული მღელვარებით იმუქრება. აღსანიშნავია, რომ ამის თაობაზე ადგილობრივებმა საოცნებო ხელისუფლების წარმომადგენლები არაერთხელ გააფრთხილეს. მიმდინარე წლის მაისში კი ხაიშელებმა ხატზე დაიფიცეს, რომ ხუდონჰესის აშენებას არ დაუშვებდნენ.

7 მაისს, გიორგობის მეორე დღეს, აბა ხაიშის მოსახლეობამ, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, წმინდა გიორგის ხატთან ფიცი დადო, რომ ხუდონჰესის მშენებლობას შეეწინააღმდეგებიან და არ დაუშვებენ მის მშენებლობას.

ხატზე დასაფიცებლად დაბაში ხაიშში შემავალი შვიდი თემის მაცხოვრებლები ჩავიდნენ. მათი განცხადებით ხუდონჰესის მშენებლობა დაუშვებელია, რადგან ხაიში და მთლიანად სვანეთი საფრთხის წინაშე დადგება.

— ხუდონჰესის მშენებლობით წყლით დაიფარება მთლიანად სვანეთი, მათ შორის ჩვენი სალოცავები და ის ეკლესია, რომელიც მეთორმეტე საუკუნეშია აშენებული და ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევებმა მოაღწია. ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით აღადგინა ეს სალოცავი. გარდა ამისა, წყლით დაიფარება ჩვენი წინაპრების საფლავები. ხუდონჰესის მშენებლობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ხაიშის მოსახლეობას, არამედ მთლიანად სვანეთს და საქართველოს. ჩვენ ხატზე დავიფიცეთ დღეს, რომ შევეწინააღმდეგებით აქ ხუდონჰესის მშენებლობას. ჩვენ ფიცს არ გავტეხავთ, — განაცხადეს ფიცის დადების შემდეგ სვანებმა.

სვანების ბუნებას ვინც იცნობს, კარგად მოეხსენება, რას ნიშნავს მათთვის ხატზე დაფიცება. ამის აზრზე ცოტათი ჩვენი ხელისუფლებაც გახლავთ და რამდენიმე თვის მანძილზე მათ აგრესიული საჰესო პოლიტიკა შეარბილეს. ფიცის დადებიდან ცოტა ხანში ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია გაიმართა. სადაც მან უამრავ თემაზე ისაუბრა. საუბარმა მოიტანა და პრემიერს გიგანტური ჰესების მშენებლობაზეც მოუწია საუბარმა.



პრემიერმა ივანიშვილმა მაშინ განაცხადა, რომ სვანეთში ჩავიდოდა და პირადად დაარწმუნებდა მოსახლეობას ამ ჰესის აშენების აუცილებლობაში. ივანიშვილმა სვანეთში ასვლა ვერ მოახერხა, ან არ ისურვა. სამაგიეროდ ჰესომანიით შეპყრობილები დადიან სვანეთში და მოუთმენლად ელიან, როდის დაიწყება მშენებლობა.

ფიცის დადების შემდეგ სვანებს იმედი ჰქონდათ, რომ ხელისუფლება გადაიფიქრებდა. მათი პროგნოზი არ გამართლდა. დასატბორად განწირული სვანეთის მოსახლეობამ გადაწყვიტა პრემიერის სახელზე წერილი დაეწერა. პრემიერთან ერთად სვანებმა პატრიარქსაც მიმართეს. წერილს 2000 ადამიანი აწერს ხელს. ხელმოწერება კვლავ გრძელდება.

საჯარო მიმართვაში ნათქვამია, რომ კვლავაც გრძელდება ხუდონჰესის მშენებლობის განახლების მცდელობა, რომელიც თითქმის 40 წელია, ერთგვარ დამოკლეს მახვილივით კიდია ზემო სვანეთის თავზე. ჯერ კიდევ 1986 წელს დაწყებული აღნიშნული ჰესის მშენებლობა 1989 წელს შეჩერდა სულმნათ მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ზურაბ ჟვანიასა და სხვა ღირსეულ მამულიშვილთა თაოსნობით. სვანები აცხადებენ, რომ ჩვენ გარშემო მრავლადაა „დიადი საბჭოეთის" მიერ განხორციელებული, ყოვლად გაუაზრებელი გრანდიოზული პროექტები, რომლებმაც ხალხს დაპირებული სიკეთის ნაცვლად, მხოლოდ ბოროტება და ნგრევა მოუტანა. სამწუხაროდ, ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ხუდონჰესიც, რომელიც არა მხოლოდ ხაიშის თემს დატბორავს, არამედ ეჭვქვეშ აყენებს ზემო სვანეთის მომავალსაც გაანადგურებს.

ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ 2010 წელს წინა ხელისუფლებამ ისე გააფორმა მემორანდუმი ხუდონჰესის ინვესტორ კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიასთან", რომ იქაური მოსახლეობის აზრი არ გაითვალისწინა და მათ მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილება გააცნეს. სამწუხაროდ, იგივე მდგომარეობაა დღესაც და არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი შეხვედრა რაიონის მოსახლეობასთან.

როგორც ირკვევა, ინვესტორი კომპანიის „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას" მესვეურები ცრუობენ, როდესაც აცხადებენ, რომ ხაიშელების უმრავლესობა თურმე აცნობიერებს ჰიდრო ენერგეტიკის განვითარების აუცილებლობას ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის და მზადაა, დატოვოს სამკვიდრო ტერიტორია, შეეგუოს ტაძრისა და სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების წყალქვეშ მოქცევას და გადასახლებას. სინამდვილეში, ასე არ არის.

ხაიშელები ახალ ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაში სამართლიანად იყო მითითებული წინა ხელისუფლების შეცდომა, კერძოდ, — მოსახლეობასთან დაშორებული მდგომარეობა. აქვე ეწერა, რომ უნდა აკრძალულიყო დიდი ჰესების და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა.

ხუდონის აშენების შემთხვევაში, იძულებით უნდა გაასახლონ 1200 ადამიანი, რაც მესტიის რაიონის მოსახლეობის 10%-ზე მეტია. მით უფრო, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ზემო სვანეთის მოსახლეობამ 25000-დან 12000-მდე იკლო. გარდა ამისა, რელოკაციას უნდა დაემქვემდებაროს 850-ზე მეტი სასაფლაო და, რაც ხაიშელებს ყველაზე მეტად ადარდებთ, წყლით დაიფარება ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის მოქმედი ტაძარი, რომელიც მე-12-13 საუკუნის ნატაძრალის ადგილას აღადგინა ხაიშის თემის მოსახლეობამ და მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევით მოქმედი გახდა 2010 წლიდან.

ამ მიმართვას ხელს ხაიშის მკვიდრი გოჩა თორიაც აწერს. ის დარწმუნებულია, რომ ახალ ხელისუფლებას ყველა პროცესი ხუდონჰესის მშენებლობისკენ მიჰყავს. მათი წინააღმდეგობის საპასუხოდ კი რეაქცია კატეგორიული იყო — გაჩერდით, თორემ კანონს ავამუშავებთო. მათი ერთ-ერთი თანამოაზრე სამხარეოშიც იყო დაბარებული, სადაც უთხრეს, რომ ხაიშში უნდა გაიხსნას „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას" ოფისი. ამ ოფისის დანიშნულება კი ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების მომზადებაა. სინამდვილეში, მათ ყველა დასკვნა აქვთ გაკეთებული, დარჩენილი აქვთ ერთადერთი დასკვნა — მოსახლეობის განსახლების პროექტი. სწორედ ამისთვის სჭირდებათ ოფისის ამოქმედება, რომ ადგილობრივებთან განსახლების პროექტის შესახებ იმუშაონ.

— ხაიშელებმა მათ კატეგორიულად უთხრეს, რომ ჩვენ არსად მივდივართ, არ მოხვიდეთ და ოფისი არ გახსნათო. ამ ჰესის აშენებაზე მთლიანი სახელმწიფო მანქანა მუშაობს. თანაც, სახელმწიფო ამ თემას იმით ფარავს, რომ საქართველოს სჭირდება ეკონომიკა და ენერგეტიკა; ჩვენ ვეუბნებით, ენერგეტიკა და ეკონომიკა იქნება, მაგრამ სვანეთი დაინგრევა, სვანეთის ნგრევას კი ჩვენ არ დავუშვებთ. 185 ოჯახი მთლიანად იტბორება. წინაპართა საფლავები, ეკლესია— ყველაფერი ნადგურდება. ისინი არ ცნობენ არც ჩვენს ფიცს და არც ჩვენს შეხედულებას, რომ სვანეთს არავის დავანებებთ. გარკვეულ ტერიტორიაზე გადასახლებაზე არც ყოფილა საუბარი და ამას ვერც შემოგვთავაზებენ, რადგან ჩვენ ამას არ დავუშვებთ და უკან არ დავიხევთ, — აღნიშნა პორტალთან „ფორ,გე" საუბარში გოჩა თორიამ.

მან ახლანდელი პრემიერის ჩასვლის ფაქტიც გაიხსენა სვანეთში, როცა ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე პირობა დადო, რომ ხუდონჰესი არ აშენდებოდა. ახლა კი სვანები მასთან შეხვედრას ითხოვენ, რათა პრემიერის პასუხი მოისმინონ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ივანიშვილი პირადად აპირებდა სვანეთის მოსახლეობასთან დალაპარაკებას. ჯერჯერობით ივანიშვილმა ვერ მოიცალა. სამაგიეროდ ინვესტორები მიმართავენ ეშმაკობას და მთელ ქვეყანას არწმუნებენ, რომ მოსახლეობა ჰესის აშენებაზე თანახმაა. ასეთი რამ უკვე გააკეთეს ყაზბეგში. როცა მოსახლეობას მოტყუებით მოაწერინეს ხელი ჰესის მშენებლობაზე. თან იფიცებოდნენ, ეს ჰესები პატრიარქის კურთხევით შენდებაო. საბედნიეროდ, ეს აფიორა მალევე გაიშიფრა. თუმცა ამით არაფერი შეცვლილა და ჰესიანობა იქაც გრძელდება. იმ შემთხვევაში თუ მეჰესეები და კალაძე თავისას გაიტანენ, უნიკალური ხდის ხეობა მთლიანად განადგურდება.



სვანეთში კი გაცილებით მძიმედ არის საქმე. უფლებადამცველ კოტე ინაშვილის განცხადებით, ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში მთლიანად ვკარგავთ სვანეთს.

— ხუდონჰესის მშენებლობის დაწყების შემთხვევაში ფაქტიურად ვკარგავთ სვანეთს. ჩვენ ხელთ გვაქვს სვანეთის მოსახლეობის მიმართვა, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ არის დაწერილი, ასევე პრემიერ-მინისტრისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ. ახალი ხელისუფლება წინასაარჩევნოდ დაჰპირდა სვანეთის მოსახლეობას, რომ თუკი არ იქნებოდა ხალხის ნება, მაშინ არ ააშენებდნენ ხუდონჰესს. არის ინდური სამშენებლო კომპანია, რომელიც სათავეში უდგას ამ ჰესის მშენებლობას. დღეს ეს კომპანია ითხოვს, სოფელ ხაიშში გახსნას ოფისი. ალბათ დაიწყებენ ხალხის მოსყიდვას და დაშინებას. ჩვენ ხელთ გვაქვს 2000 ხელმოწერა, რომელსაც ხელს აწერს ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ სვანეთის მოსახლეობა. სოფელი ეცერიდან, მესტიიდან, ლიზიდან, ნაკრადან, ცხუმარიდან, უშგულიდან, იდლიანიდან, ჭუბერიდან, მულახიდან, ხაიშიდან და ა.შ. ამას გარდა, დაახლოებით 70-მა ოჯახმა დაიფიცა ხატზე რომ ხუდონჰესს არ ააშენებინებენ. ხელისუფლება თუ წავა მოსახლეობის წინააღმდეგ, იქ დიდი უბედურება ატყდება. ეს ხალხი არ აპირებს თავისი საცხოვრებლიდან აყრას და გადასახლებას. ხელისუფლებას უნდა მოვუწოდოთ, რომ არ აშენდეს ხუდონჰესი. მთელი კასკადია დაგეგმილი ჰესების მშენებლობისა, გეგმაშია ხუთი ჰესის აშენება. შესაბამისად მთელი სვანეთი წყლის ქვეშ ექცევა. ჩვენ, ქართველებს არ გვილირს არანაირი ჰესი და ელექტროენერგია საიმისოდ, რომ სვანეთი აღარ არსებობდეს. ამ ხელმოწერებს მივცემთ ბეჭდურ ფორმას და დაურიგდებათ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს. ხელმოწერებს დაერთვება მიმართვა. გადაეცემა პრემიერ-მინისტრს, კათოლიკოს-პატრიარქს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და იმ ადამიანებს, ვინც წყვეტს ქვეყნის ბედს. ქართველ ხალხს არ გვილირს არც ერთი მილიონი და არც ერთი მეგავატი, რომ დაიკარგოს ეს კუთხე, — განაცხადა „რეპორტიორის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე კოტე ინაშვილმა.

სვანეთში გიგანტური ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ გამოდის პოეტი ერეკლე საღლიანიც. მისი განცხადებით, ამ ჰესის აშენება სვანეთისთვის და მთელი ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. ამის გარდა საღლიანი ხელისუფლებას ხალხის მოთხოვნის გათვალისწინებასაც ურჩევს. ევროპაზე ორიენტირებულ ხელისუფლებას კი შვეიცარიაში წლების წინ მომხდარ ამბავს ახსენებს. „რეპორტიორის" პრესკლუბიდან ერეკლე საღლიანმა ხელისუფლებას შეახსენა ისიც, თუ რას ნიშნავს დემოკრატია. პოეტი წუხს, რომ ხალხის ნებას არც დღევანდელი ხელისუფლება ითვალისწინებს.

— მოსახლეობასთან საერთო ენა არ გამოუძებნიათ მათ. ისე ხსნიან ოფისს, რომ არ კითხულობენ, ეს შეურაცხმყოფელია! ჩვენ უნდა ვისაუბროთ მიზეზებზე. საქართველო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ის ქვეყანა, რომელიც შემდგარია, როგორც დემოკრატიული ქვეყანა. დემოკრატია ხალხის ნების გათვალისწინებაა, ჩვენთან კი უგულებელყოფილია ხალხის აზრი. 2008 წელი — ხელისუფლება ხალხის ნების გარეშე იწყებს ომს, რომელიც ისტორიაში შევიდა 2 დღის ომის სახელწოდებით. ხელისუფლება სტრატეგიული ნიშნის ობიექტებს ყიდის ხალხის ნების გარეშე! ჩამოყალიბდა ერთპიროვნული მმართველობა, ერთპიროვნული აზრი! უკანა პლანზე გადაიწია სამოქალაქო აზრმა. ეს გრძელდება დღემდე. ხაიშის მოსახლეობა, რომელმაც უამრავი რამ გადაიტანა, ამ ჰესის მშენებლობას არ შეეგუება! როცა ვამბობ, საბჭოთა ეპოქაში ვცხოვრობთ დღესაც, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ცნობიერება. შემოდის უცხოური კომპანია, ჯერ როგორ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, რომ ყველაფერი განკარგოს მან?! ვხედავთ, იმ ადგილზე, სადაც ასი ათასმა მოწამემ თავი გასწირა, სარწმუნოების გამო, დღეს ბუდა ბარი აგვიშენეს. არ მაქვს არც ერთი სარწმუნოების მიმართ გართულება, მაგრამ მე ნუ შემეხებიან! ქვეყანაში რომ შედიხარ, ელემენტარული პატივისცემა უნდა გქონდეს სიწმინდეების მიმართ. ხელიდან წასული ქართველიც კი რომ ჩავიდეს ინდოეთში, მაინც მოერიდება სხვის სიწმინდეს, რომელიც იმ ხალხისთვის მნიშვნელოვანია. ბუდა ბარის ამშენებელს, თავისი სარწმუნოებიდან გამომდინარეც კი არ აღმოაჩნდა სინდისი. ხაიშის მოსახეობა დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. ენგურჰესის აშენებამ მიკროკლიმატი მთლიანად შეცვალა. კიდევ ერთი გიგანტური ჰესი მომასწავებელი იქნება იმისა, რომ ჭუბერის და ჰაიშის მოსახლეობა იძულებული იქნება, აყაროს იქიდან. რომელი ელექტროენერგია შეცვლის იმას, რომ უფალმა სვანეთი გვიბოძა?! სვანეთი საქართველოს განძთსაცავია. ამას ვართმევთ ჩვენს საქართველოს? რა სახსრებსაც ეს ელექტროენერგია მოიზიდავს, ტურიზმით გაცილებით მეტი შემოსავალი გვექნება, თუკი სვანეთს შევინარჩუნებთ. რა თქმა უნდა ელექტროენერგია გვჭირდება, მაგრამ არა გიგანტური, თაღოვანი კაშხალებით. უნდა აშენდეს ისეთი ჰესები, რომელიც არ დააზიანებს იქაურობას და ელექტროენერგიასაც მოგვცემს ჩვენ. მარტო მდინარე ნენსკრაზე რომელიც არის ენგურის შენაკადი, რამდენიმე ჰესი აშენდება. მდინარე მულახურა, რომელიც სიმძლავრით ენგურს არ ჩამოუვარდება, იქაც აშენდება ჰესი. მესტიელაზეც. 1976 წელს შვეიცარიაში გაჰყავდათ რკინიგზა. მთელი დასახლება დაითანხმეს და ვერ დაითანხმეს მხოლოდ ერთი ოჯახი. ამ ერთი ოჯახის გამო მთლიან პროექტზე უარი თქვეს. აქ ერთი ოჯახი კი არა მთელი ჰაიშის და მთელი ჭუბერის მოსახლეობა ერთ აზრზე დგას. თუ მოსახლეობის ნებას არ გავითვალისწინებთ ვერ ავაშენებთ საქართველოს, — აცხადებს ერეკლე საღლიანი.

ხვალ სვანეთის მოსახლეობა ხუდონჰესის მიმართ თავის პოზიციას დააფიქსირებს. 17 სექტემბერსვე ხაიშში, გამგეობის შენობაში გაიმართება ხუდონჰესის პროექტის საჯარო განხილვა. ამ თემაზე განხილვა 19 სექტემბერს უკვე თბილისში გაიმართება.

ვნახოთ, რა მოხდება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც სვანეთის მოსახლეობა და არც ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებენ.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაციონალები კრიმინალურ ფაქტებს მალავდნენ“

გულიკო ბალაძე

,,უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ 2009-2013 წლებში დანაშაულის რაოდენობისა და მედიაში გაშუქებული ფაქტების თანაფარდობასთან დაკავშირებით ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ,,უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ მედია მონიტორინგის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოპოვებული ინფორმაციებისა და სხვა სახის კვლევების შედეგად შეადგინა ანგარიში 2009-2013 წლებში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისა და მედიაში გაშუქებული ფაქტების თანაფარდობასთან დაკავშირებით.

დანაშაულები მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ხასიათისაა, კერძოდ, როგორიც არის ყაჩაღობა, მკვლელობა, გაუპატიურება. აღნიშნული ანგარიშის მომზადების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის ინფორმაციები, რომლებიც ვრცელდება რიგი პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან, რომ საქართველოში კრიმინალმა მოიმატა და რომ ამის შესახებ მედია ინფორმაციას უმალავს საზოგადოებას.

მჟავანაძის განცხადებით, ამ თემით ხშირად ხდება სპეკულირება და გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ცდილობენ, ქვეყანაში ხელოვნურად შექმნან ნეგატიური ფონი.

— ამ კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ უმალავდა მედიას გასულ წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარი დანაშაულების შესახებ ინფორმაციას, — აცხადებს მჟავანაძე.

ამ მიმართულებით ობიექტური და ნათელი სურათი რომ შექმნილიყო, ,,უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ მოიპოვა 2009-2013 წლებში ჩადენილი და აღრიცხული დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შსს-დან და მედია მონიტორინგის ორგანიზაციებიდან, რომლის მიხედვითაც სურათი დანაშაულებისა და მედიაში გაშუქების მხრივ შემდეგნაირად გამოიყურება:

2009 წელი — ყაჩაღობა –726, გაშუქდა — 111 ფაქტი; მკვლელობა — 121, გაშუქდა 76 ფაქტი; გაუპატიურება — 58, გაშუქდა 7 ფაქტი;

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული კვლევებით: 2009 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 21%-ს.

2010 წელი — ყაჩაღობა — 375, გაშუქდა — 49 ფაქტი; მკვლელობა — 180, გაშუქდა — 66 ფაქტი; გაუპატიურება — 65, გაშუქდა ერთი ფაქტი; 2010 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 18-%-ს.

2011 წელი — ყაჩაღობა — 259, გაშუქდა — 35 ფაქტი; მკვლელობა — 108, გაშუქდა — 74 ფაქტი; გაუპატიურება — 64, გაშუქდა 5 ფაქტი; 2011 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შედგენს 26,4%-ს.

2012 წელი — ყაჩაღობა — 331, გაშუქდა — 39 ფაქტი; მკვლელობა — 115, გაშუქდა — 54 ფაქტი; გაუპატიურება — 82, გაშუქდა 3 ფაქტი; 2012 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 18



%-ს შეადგენს.

2009-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულისა და ვებგვერდზე ამავე პერიოდში ნიუსის სახით განთავსებული ინფორმაციის თანაფარდობა ასეთია:

ყაჩაღობა — 1711, გაშუქდა 77 ფაქტი; მკვლელობა — 524, გაშუქდა 121 ფაქტი; გაუპატიურება — 269, გაშუქდა 1 ფაქტი; 2009-2012 წლებში ვებგვერდზე პოლიცე.გე ნიუსის სახით განთავსდა შემთხვევათა მხოლოდ 7%. 2013 წლის 7 თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობის და მედიაში გაშუქებული ფაქტების თანაფარდობა ყაჩაღობა — 212, გაშუქდა 39 ფაქტი, მკვლელობა — 52, გაშუქდა — 50 ფაქტი. გაუპატიურება — 38, გაშუქდა 7 ფაქტი.

2013 წელს 7 თვის განმავლობაში მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 31,7 %-ს შეადგენს, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

შედარებისათვის: 4 წლის განმავლობაში 2009-2012 წლებში ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 7%-ს, რაც შსს-ს მეტ გამჭვირვალობაზე მიუთითებს 2013 წლისათვის.

,,უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე:

— წინა წლებთან შედარებით, ნაკლები დანაშაულის არსებობა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მიუთითებს იმაზე, რომ შსს-ს მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა, თანამშრომლების გადახალისებამ, ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ შედეგი გამოიღო. ამ ყველაფერს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ საქართველოს საპატიმროები ათასობით პატიმარმა დატოვა. თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო გამოცდილებას, როდესაც ამდენი პატიმარი ტოვებს საპატიმროს, რისკი იმისა, რომ დანაშაულები მოიმატებს, ძალზე მაღალია. თუმცა, შსს-ს მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად დანაშაულმა კი არ მოიმატა, არამედ იკლო, — ასკვნის ნიკოლოზ მჟავანაძე.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, სწორედ ესაა შედეგი იმისა, რომ საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მაღალია, რასაც შსს-ს მიერ ვიზიტორთა შესახებ გამოქვეყნებული ციფრებიც ადასტურებს.

— კერძოდ, იანვარ-აგვისტოს პერიოდში 3 568 518 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 26,4%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდთან. აქედან ტურისტი — 1 415 215.

როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აღნიშნავს, შსს-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებისა და „უფლებადამცველთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ წინა ხელისუფლება მალავდა დანაშაულებს, ხოლო ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ ეს გამოჩნდა.

—წინა ხელისუფლება მომხდარი დანაშაულების შესახებ ინფორმაციას მალავდა. სააკაშვილის დამარცხების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის მთელი მოღვაწეობა ემსახურება ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას. აცხადებენ, თითქოს გაიზარდა მძიმე დანაშაულობების, ყაჩაღობის, მკვლელობის რაოდენობა. ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით, რეალურად, მართლა ასეა თუ არა და დავიწყეთ კვლევა. შს სამინისტროდან ოფიციალური მონაცემები მივიღეთ, მედია მონიტორინგი ჩავატარეთ და ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. პირიქით, დანაშაულობებმა იკლო, ხოლო დანაშაულობების გაშუქება არის მომატებული წინა წლებთან შედარებით. ნაციონალები რომ იძახიან, ბევრი დანაშაული ხდება და არ აშუქებენო, სწორედ თვითონ აკეთებდნენ ამას. ვფიქრობ, საერთოდ, შს სამინისტრო გახდა გამჭვირვალე.

ნიკოლოზ მჟავანაძეს მიაჩნია, რომ ეს განაპირობა ახალი ხელისუფლების მოსვლამ და ახალ სიტუაციაში შს სამინისტროს მიერ ჩატარებულმა რეფორმებმა.

— რეალურად, ახალმა შს მინისტრმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, ტექნიკურმა აღჭურვილობამ და კადრების გადახალისებამ შედეგი მოგვცა. თუმცა, შს სამინისტროს რეფორმა ბოლომდეა მისაყვანი. ბევრი პატიმარი გამოვიდა ციხიდან, რაც, საერთოდ, ცუდ გავლენას ახდენს კრიმინოგენურ მდგომარეობაზე, მაგრამ სამინისტრო მუშაობს. ეს ციფრებშიც კარგად ჩანს. ამიტომ ნაციონალები და რიგი მედიასაშუალებები რასაც აცხადებენ, აბსურდია. ამასთან, წინა წლებში მომხდარი დანაშაულები თუ არ შუქდებოდა, ეს მედიის ბრალი კი არ არის, არამედ თვითონ ნაციონალებისა და შს სამინისტროს პრესცენტრის ბრალია, რომლებიც მედიასაშუალებებს ინფორმაციას არ აძლევდნენ. აქედან გამომდინარე, ამ ხალხს უნდა ეყოთ სინდისი, რომ ისეთი რაღაცეები არ თქვან, რაც არ არის სიმართლე, — მოუწოდებს ნიკოლოზ მჟავანაძე ნაციონალებს.

— ბატონო ნიკოლოზ, რა საფუძველი გაქვთ და როგორ ასკვნით, რომ წინა ხელისუფლება დანაშაულებს მალავდა?

— ავიღეთ წინა წლების მონაცემები, ჩავატარეთ მედიამონიტორინგი და გამოჩნდა, რას აკეთებდა წინა ხელისუფლება. არსებობს კომპანია, რომელიც აკეთებს მედია კვლევას, ანუ რამდენი ინფორმაცია გავიდა მედიაში მკვლელობაზე, ყაჩაღობაზე, მონიტორინგი განვახორციელეთ და კვლევის შედეგად მივიღეთ ამგვარი სურათი. ჩვენ დავეყრდენით ოფიციალური წყაროს მონაცემებს.

— რაში სჭირდებოდათ ნაციონალებს მომხდარი დანაშაულების შესახებ ინფორმაციის დამალვა?

— წინა ხელისუფლება, ნაციონალები მოსახლეობას, საზოგადოებას ტყუილებით კვებავდნენ, თითქოს სიტუაცია კარგი იყო. რეალური მდგომარეობა რომ ეჩვენებინათ, არ აწყობდათ, კრიმინოგენური სურათი დამძიმდებოდა. სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში კრიმინალური მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას ისინი წარმოგვიდგენდნენ. უფრო მეტი დანაშაულები ხდებოდა, მაგრამ იმალებოდა. ბევრი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. არის მონაცემები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებითაც. რეალური მდგომარეობა რომ ეჩვენებინათ, კრიმინალური სურათი დამძიმდებოდა და ამიტომ აპიარებდნენ ისეთ მკვლელობებსა და ყაჩაღობებს, რომელსაც ხსნიდნენ. გაუხსნელ მკვლელობებსა და ყაჩაღობებზე არ საუბრობდნენ. მკვლელობებიდან მედიის მიერ შუქდებოდა მხოლოდ რეზონანსული საქმეები. მათ შორის, ყველაზე ხშირად გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის საქმეები. მათი მკვლელობების შესახებ ინფორმაცია კვლავ იჩენს თავს 2012 წლის ბოლო პერიოდში და 2013 წლის პირველ ნახევარში.

## „ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას მოუთმენლად ელის“

ამის შესახებ გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ სპეციალურ ვიდემომართვაში განაცხადა, რომელიც მან საქართველოში დაგეგმილ ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის საერთაშორისო სესიასთან დაკავშირებით გაავრცელა. შტეფან ფულემ სესიაში მონაწილეებს წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი საქართველოს უნიკალური შესაძლებლობებით აღფრთოვანებულები დარჩებიან.

„ვფიქრობ, საქართველო საუკეთესო ადგილია განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური ფონის მქონე ახალგაზრდების შესახვედრად, რომლებსაც ენთუზიაზმი აერთიანებთ, რომ გამართონ დებატები და სხვადასხვა აქტუალური საკითხები განიხილონ. საქარათველო ახალგაზრდა ქვეყანაა, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ ის თავისი უდიდესი კულტურით უძველესია. ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგას, როგორც მეგობარი და პარტნიორი. ჩვენ მოუთმენლად ველით ამ ქვეყანასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას. დარწმუნებული ვარ, თბილისის სესია წარმატებული იქნება და მოუთმენლად ველი მის შედეგებს“, — განაცხადა ფულემ.

პირველი

## ქდმ საარსებო მინიმუმის შესახებ კანონპროექტს პარლამენტში სექტემბრის ბოლოს წარადგენს



საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში დასარეგისტრირებლად „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მოქალაქეთა 30000-ზე მეტი ხელმოწერა უკვე შეაგროვეს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ კანონში ცვლილებებზე მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი თარგამაძემ და პარტიის ლიდერებმა ექსპერტებთან ერთად ეროვნული ბიბლიოთეკაში იმსჯელეს.

„პარლამენტში ყოფნის დროს ჩვენ მოვამზადეთ კანონპროექტი საარსებო მინიმუმის წესის შეცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ და უმრავლესობამ უარი გვითხრეს კანონპროექტის მიღებაზე. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამაც უარი განაცხადა ჩვენი წინადადების განხილვაზე. ახალ მთავრობას არაფერი მოსწონს „ნაციონალური მოძრაობის“, მხოლოდ საარსებო მინიმუმის დაანგარიშების წესი მოეწონა და ჯიუტად დგას ამ წესზე. დღევანდელ კონფერენციაზე, საექსპერტო საზოგადოების მონაწილეობით, ჩვენ კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ დაინტერესებულ საზოგადოებას, რომ ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 250 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს“, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის მოთხოვნით „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ქვეყნის მასშტაბით ხელმოწერების კამპანიას აწარმოებს.

პირველი

## ივანიშვილი და კალაძე „შუახევჰესის“ მშენებლობას ჩაუყრიან საფუძველს

დღეს ივანიშვილი და კალაძე „შუახევჰესის“ მშენებლობას ჩაუყრიან საფუძველს „შუახევჰესის“ დადგმული სიმძლავრე 178 მეგავატია, მისი წლიური გამომუშავება კი 445,1 მლნ კილოვატ საათს შეადგენს. პროექტით 2 კაშხლისა და წყალსაცავების მოწყობაა გათვალისწინებული.

„შუახევჰესის“ მშენებლობის პარალელურად, ინვესტორები კასკადის შემადგენელი „სხალთაჰესის“ მშენებლობას იწყებენ. „სხალთაჰესის“ დადგმული სიმძლავრე 5,8 მეგავატია, წლიური გამომუშავება კი — წელიწადში 20,8 კილოვატი საათი. ორივე პროექტის საინვესტიციო ღირებულება 300 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა 2016 წლის მეორე ნახევარში დასრულდება.

პირველი

## კობა დავითაშვილი იმერეთის რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს



პირველის“ ადგილობრივი კორესპონდენტის ცნობით, „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე და პრეზიდენტობის კანდიდატი თერჯოლის მოსახლეობას შეხვდა და საარჩევნო პროგრამა გააცნო.

დავითაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში თუ ის პრეზიდენტი გახდება, მისი მთავარი პრიორიტეტი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაკარგული ანაბრების მიწის ნაკვეთების სახით დაბრუნება იქნება.

პირველი

## ანსამბლი „სუხიშვილები“ სასჯელაღსრულების №15 დაწესებულებას ესტუმრა

ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ სასჯელაღსრულების №15 დაწესებულებას ეწვია და მსჯავრდებულების წინაშე კონცერტით წარსდგა.

კონცერტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დაესწრო. სოზარ სუბარი ანსამბლის ხელმძღვანელებს ილიკო და ნინო სუხიშვილებს შეხვდა და მსჯავრდებულთა მიმართ გამოხატული ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა. ნინო სუხიშვილმა კონცერტების სხვა დაწესებულებებში გამართვის სურვილიც გამოთქვა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსგავსი ხასიათის კულტურული ღონისძიებები 2012 წლის ოქტომბრიდან ყოველთვიურად იმართება. სხვადასხვა დაწესებულებებში უკვე არაერთი ლიტერატურული საღამო, კონცერტი და თეატრალური წარმოდგენა მოეწყო.

კულტურული ღონისძიებების განხორციელების მიზანი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა, — აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში.

მედიანიუსი

## დღეს პატრიარქი უმაღლეს სასწავლებლებს ეწვევა

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქი სიონის ტაძარში პარაკლისს გადაიხდის. როგორც საპატრიარქოს პრესცენტრში აცხადებენ, პარაკლისი 9 საათზე დაიწყება, შემდეგ კი უწმინდესი სასულიერო სემინარიაში მიბრძანდება, სადაც სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს დალოცავს და სწავლის დაწყებას მიულოცავს.

ილია II თბილისის სახელმიწფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსშიც მიბრძანდება და სტუდემტებსა და პროფესროს მასწავლებლებს დალოცავს. 12.00 საათზე კი პატრიარქი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტაც ეწვევა.

მედიანიუსი

# სანდრო ბრეგაძე: „ვინც ვადამდელ არჩევნებს ეწინააღმდეგება, ნაციონალებთან არის შეკრული“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან



***— ბატონო სანდრო, ამბობთ, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში მკვეთრ ცვლილები მოხდება. რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ბევრად უფრო ინტენსიური და ბევრად უფრო დაახლოებული გახდება, ვიდრე ეს აქამდე იყო. ეს გარდაუვალი მოვლენაა და მერწმუნეთ, ასე იქნება. ახლა ეს კარგი მოვლენა იქნება თუ ცუდი, ეს კიდევ მეორე საკითხია და ამაზე ცალკე შეიძლება მსჯელობა. თუმცა აქვე ერთი რამ უნდა აღინიშნოს, მე ფრიად დაფიქრებული ვარ პოსტბიძინასეულ პერიოდზე. იმიტომ, რომ ჩემდა სამწუხაროდ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდში არ არიან ისეთი პოლიტიკური ფიგურები, რომლებსაც შეეძლებათ ივანიშვილის საპირწონე პოლიტიკურ ფიგურად ქცევა და ერთგვარად ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის დაჭერა. მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა, იგივე ბატონი მარგველაშვილის მიმართ, მე ვფიქრობ, რომ მარგველაშვილი, ბიძინა ივანიშვილთან ტანდემში, მისაღები პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის გარეშე, ჩემი ღრმა რწმენით, საკმაოდ სუსტი მმართველი იქნება, რაც, რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში მანიშნებელი იქნება სერიოზული პოლიტიკური რყევებისა. მით უმეტეს, მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ ისიც, რომ საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი, ეს არ იქნება პოლიტიკური ფიგურა, ეს იქნება უფრო ეკონომიური გუნდიდან წამოსული ფიგურა, უფრო ეკონომისტი, რომელიც წმინდა სამეურნეო საქმიანობით იქნება დაკავებული და ეს არ იქნება პოლიტიკური ფიგურა, რომელიც რეალურად ქვეყნის პირველი პირი იქნება. აი, ამ ბურუსისა და გაურკვევლობის ფონზე, რა თქმა უნდა, მეტად ძნელია ქვეყნისთვის სასიკეთო პროგნოზების გაკეთება, მით უმეტეს, რომ ჩვენი მეგობრები უცხოეთში საქართველოს მომავალ პოლიტიკურ კლიმატს საკმაოდ მძაფრ ფერებში ხატავენ. მე არა ვარ იმის მომხრე, რომ მძაფრ ფერებში დავინახო ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდგომ, საქართველოში საკმაოდ ბევრი რამ შეიცვლება და გარკვეული დროის განმავლობაში იქნება მეტად არამყარი და არასტაბილური პოლიტიკური გარემო.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ კოალიცია დაიშლება?***

— მოდით, ასე ვთქვათ, რომ კოალიცია დაშლილია და კოალიცია არც არასოდეს არსებობდა. კოალიცია, ეს გახლდათ პარტიათა ნაკრები, რომლებიც ფაქტობრივად ჩამოეკიდნენ ივანიშვილის პოლიტიკურ კაპიტალს, ივანიშვილისადმი მოსახლეობის უდიდეს ნდობას და ივანიშვილმა, როგორც ლოკომოტივმა, ეს ცარიელი ვაგონები, შეიყვანა საქართველოს პარლამენტში და საქართველოს მთავრობაში. აი, ეს არის რეალობა. კოალიცია, როგორც ასეთი, იდეოლოგიურად ერთიანი რომ არ იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ რეალურად არც კოალიცია ყოფილა. ეს არის ერთი პიროვნების გარშემო შემოკრებილი გარკვეული პოლიტიკური ძალების კრებული და სხვა არაფერი. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არის იმაში, რომ კოალიცია ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდგომ უახლოეს ხანებში, შეიძლება ეს დღეებშიც მოხდეს, დაიშლება და კოალიციის სუბიექტები თავთავის გზას მოძებნიან. სხვათა შორის ეს იქნება ნაციონალებთან მიმავალი გზა. ის ძალები, რომლებიც ნაციონალებთან კოჰაბიტაციაზე აშკარად და ღიად საუბრობდნენ, ეს ძალები უახლოეს ხანში ნაციონალების გვერდით აღმოჩნდებიან. მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა.

***— ბატონო სანდრო, თქვენ ფიქრობთ, რომ პარლამენტში ახალ უმრავლესობას უნდა ველოდოთ?***

— რა თქმა უნდა, რესპუბლიკელები მოინდომებენ, რომ დავით უსუფაშვილს შეუნარჩუნონ საპარლამენტო მმართველობა. ამისათვის მათ დასჭირდებათ ხმები და ეს ხმები მათ ეგულებათ ნაციონალურ მოძრაობაში. ამ ორი დღის წინ შედგა კულუარული შეხვედრა, საპრეზიდენტო კანდიდატ ბაქრაძესა და დავით უსუფაშვილს შორის. ეს გასაიდუმლოებული შეხვედრა იყო, ამას არ ახმაურებენ და ამ შეხვედრაზე საუბარი იყო იმაზე, რომ არავითარ შემთხვევაში ბურჯანაძე არ უნდა გავიდეს მეორე ადგილზე და არ უნდა დაინიშნოს მეორე ტური. ხოლო ნაციონალებს უნდა მიეცეთ იმის საშუალება, რომ მათ გააგრძელონ პოლიტიკური მოღვაწეობა. სხვათა შორის, ეს შეხვედრები ნაციონალებსა და რესპუბლიკელებს შორის საკმაოდ ინტენსიურია. რა თქმა უნდა, რესპუბლიკელები შეეცდებიან, რომ ნაციონალების ხარჯზე შეინარჩუნონ თავიანთი საპარლამენტო ძალაუფლება. მაგრამ მე ეს უფრო მკვდარშობილი იდეა მგონია, რადგან საქართველოში ნაციონალები და ნაციონალებთან მიტმასნილი პარტიების დრო უკვე დამთავრებულია. მით უმეტეს, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გასტუმრების შემდგომ ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. ამის ჩანასახი უკვე არსებობს, მაგრამ მე მათ ამ მცდელობას დიდი პერსპექტივით ვერ ვუყურებ. იმასაც მოგახსენებთ, რომ საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალი იქნება და მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს საპარლამენტო არჩევნები შეიძლება ადგილობრივი არჩევნების პარალელურად გაიმართოს, ან ადგილობრივ არჩევნებამდეც კი. იმიტომ, რომ დღევანდელი პარლამენტი, ჩემდა სამწუხაროდ, არ ასახავს იმ პოლიტიკურ ბალანსს, რომელი პოლიტიკური ბალანსიც დღეს ქვეყანაშია. რა თქმა უნდა, რესპუბლიკელებს, რომლებიც დამოუკიდებლად არჩევნებში მონაწილეობის პირობებში 5%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავენ. ასევე დავით საგანელიძე, რომელიც სასაცილო და საფრთხობელა პოლიტიკოსად იქცა. თუნდაც გია ხუხაშვილი, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ნაციონალებთან კოჰაბიტირების შედეგად თავისი პოლიტიკური და ეკონომიური პოტენციალი გაეხაანგრძლივებინა, რა თქმა უნდა, მათ აწყობთ, რომ ნაციონალური მოძრაობა გადარჩენილი იყოს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდეს და ის სტატუს-კვო, რომელიც მათ დღეს აქვთ, შეუნარჩუნდეთ.

## რესპუბლიკელები თავისას ვერ გაიტანენ!

***— ამას რამდენად მოახერხებენ?***

— ვერ მოახერხებენ. მათ ერთი რამე ავიწყდებათ, მათ არ იციან, რომ პირველ ოქტომბერს არც ერთი მათგანისთვის საქართველოს მოსახლეობას ხმა არ მიუცია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობა თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. ამიტომ ახლა ეს უსუსური მცდელობები იმისა, რომ თავიანთი თანამდებობები, პრივილეგიები, ბიზნესები შეინარჩუნონ და ამისთვის ნაციონალურ მოძრაობასთან ქორწინების პოლიტიკა აწარმოონ, ეს მკვდრადშობილი იდეა და ეს ვერ განხორციელდება! თუმცა მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ნაციონალური მოძრაობის გადარჩენაში უდიდესი წვლილი შეიტანა გია ხუხაშვილმა. ხუხაშვილმა, რომელმაც აბსოლუტურად ყველა ნაციონალს შეუნარჩუნა მათ მიერ მოპოვებული უკანონო ქონება. სწორედ ხუხაშვილის ხელდასმით მოხდა ის, რომ დღესაც ისეთივე მილიონერები და მილიარდერები არიან, როგორებიც გუშინ იყვნენ. ხოლო რესპუბლიკელების ხელდასმით მათ შეუნარჩუნდათ ის პოლიტიკური პოზიციები, რომელი პოლიტიკური პოზიციებიც მათ პარლამენტში ჰქონდათ. ეს პროცესები ასე ნამდვილად ველარ გაგრძელდება. ამ ხალხს სასიკეთო ჩვენი ქვეყნისთვის არაფერი გაუკეთებიადა ხუხაშვილის ქვეყანა ნამდვილად ვერ იქნება საქართველო. მისნაირი მაფიოზები და ბნელი წარსულიდან წამოსული პირები აუცილებლად უნდა წავიდნენ ქართული პოლიტიკიდან. ხუხაშვილი და რესპუბლიკელები ორივე ერთად არიან ნაციონალების პროდუქტი.

***— მერე და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ხალხი ვადამდელ არჩევნებს დაუშვებს?***

— ვინც ვადამდელი არჩევნების მოწინააღმდეგეა, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ის არის ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრული პოლიტიკოსი, ან პოლიტიკური ძალა და თამაშობს ნაციონალური მოძრაობის თამაშს. ისინი მოღალატეები არიან იმ იდეისა, რომელი იდეებითაც ქართული ოცნება მოვიდა ხელისუფლებაში. ესენი არიან მოღალატეები, იმიტომ, რომ ეს ხალხი ნაციონალური მოძრაობის შენარჩუნებაზე ზრუნავენ. პირველ ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობის ნება ნაციონალების პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობა იყო და არა მათი გადარჩენა. საქართველოს მოსახლეობის ნების ღალატი კი არავის არ ეპატიება. ეს ადამიანები ელემენტარულად დაფიქრდნენ, გაიხედ-გამოიხედონ და ძალიან ცუდ მდგომარეობაში ნუ ჩაიგდებენ თავს, თორემ ისეთ დღეში აღმოჩნდებიან, რა დღეშიც ნაციონალები. ეს ხალხი ერთად წავა პოლიტიკურ მოუსავლეთში. ყველაფერი იღონეს გია ხუხაშვილმა და რესპუბლიკელებმა ერთად, რომ ბიძინა ივანიშვილს თავის დანაპირები ვერ შეესრულებინა. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ივანიშვილმა ნაციონალები პოლიტიკურ მოუსავლეთში ვერ გაისტუმრა. დიახ, ბატონ ბიძინას ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ ამ ძალებმა ყველაფერი იღონეს, მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამორჩენის მიზნით, რომ ნაციონალური მოძრაობა გადარჩენილიყო. ეს ნაღმი ქვეყანას დაუტოვეს. ნაციონალური მოძრაობა — ეს არის ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალა და აი, ასეთი ძალა დაგვიტოვეს პოლიტიკურ სპექტრში. ამიტომ დღეს უკვე ამოცანა სხვა არის. დღეს უნდა განიდევნოს პოლიტიკური ასპარეზიდან ნაციონალური მოძრაობა და მასთან ასოცირებული ის პარტიები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან თავმოყრილი.

***— ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ ივანიშვილი მიდის იმიტომ, რომ ხალხს დანაპირები აუსრულოს და ქვეყანაში სამართლიანობა აღადგინოსო. თქვენი აზრით, რამდენად მოახერხებს ამას მესამე სექტორიდან?***

— მე არა ვარ აღფრთოვანებული ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით, მაგრამ მე მესმის ერთი რამ, ივანიშვილმა ფაქტობრივად გააკეთა ისეთი რამ, რომელსაც ჩვენდა სამწუხაროდ, ვერავინ ვერ გააკეთებდა და ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის მოცილება. ივანიშვილმა ეს თავისი უდიდესი მისია შეასრულა. დანარჩენი ახლა ეს ადამიანი მოინდომებს პოლიტიკაში დარჩენას თუ არ მოინდომებს, მისი გადასაწყვეტია. რაც შეეხება იმ დაპირებებს, რომელსაც ქართული ოცნება გასცემდა არჩევნებამდე, ამ დანაპირებს ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის სავარძლიდან შეასრულებს თუ საზოგადოებრივი მოძრაობის ხელმძღვანელის პოზიციიდან, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ეს დაპირებები შესრულდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი იმ მაჯლაჯუნების გარეშე, რომლებიც მას გარშემო ახვევია, ბევრად უფრო უკეთესად შეძლებს დანაპირების შესრულებას, ვიდრე ამ მაჯლაჯუნებთან ერთად, რომლებიც მას ბევრ კარგ საქმეში ხელს უშლიან. დიახ, მის გუნდში ძალიან ბევრი ადამიანია ისეთი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, ზოგი შეგნებულად, ზოგიც შეუგნებლად ხელს უშლიდა იმ მიზნების და ამოცანების განხორციელებაში, რომელიც მას დასახული ჰქონდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის ერთ-ერთი ფაქტორი ის გახდა, რომ მან დაინახა ის ბინძური პოლიტიკური სპექტრი, რომელი ბინძური სპექტრიც ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოშია და რომლებმაც მის გარშემო მოიყარა თავი და ეს ბინძური სპექტრი დღეს გადასულია პირადი კეთილდღეობის მოწყობაზე და ამის პირდაპირი მაგალითები არსებობს.

***— საუბარია იმის თაობაზე, რომ ის აუცილებლად გაწმენდს გუნდს და ისევე წავაო და ფიქრობთ, რომ ვიღაცებს მართლა მოიშორებს?***

— შეიძლება გაწმინდოს კიდეც, ეს მცირე დროის ამბავია. მოდით, არ შეიძლება 21-ე საუკუნეში გია ხუხაშვილისნაირმა მაფიოზურმა, ოლიგარქიულმა ადამიანებმა იარსებონ და მართონ ქვეყანა. მისნაირი ადამიანები 90-იან წლებს ჩაბარდა. თურმე ხუხაშვილის იდეალი პოლიტიკაში, ბორის ბერეზოვსკი ყოფილა და ის ბერეზოვსკის ბაძავს. მას სურს, რომ საქართველოში იყოს ბორის ბერეზოვსკი. მისი სურვილია, იყოს განზე და იქიდან მართავდეს პოლიტიკურ და რაც მთავარია, ეკონომიურ სიტუაციას. მას სურს, რომ სადაც დიდი ფულია, ყველგან მისი ხელი ერიოს. ხუხაშვილის ეს ოცნებები 90-იან წლებს ჩაბარდა, ასე რომ, ხუხაშვილიზმი საქართველოში დამარცხებულია. მე არ გამოვრიცხავ, რომ წასვლამდე ის დაბინძურებულ პოლიტიკურ ველს გაწმენდს და ეს ძალიან კარგი იქნება. მე რამდენადაც ვიცი, იგივე საგანელიძესთან დაკავშირებით, იგივე არმაზ ახვლედიანთან დაკავშირებით რაღაც გადაწყვეტილებები უკვე მიღებულია.

***— ბატონო სანდრო, რაც შეეხება თეა წულუკიანს, მის შესახებაც დიდი ჭორი აგორდა, საუბარია, რომ მან უკვე დაწერა განცხადება და არჩევნების შემდეგ გადადგებაო, ეს რამდენად შეეფერება სიმართლეს?***

— თეა წულუკიანი მინისტრთა კაბინეტში ჩემის ღრმა რწმენით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია. საკმაოდ დიდი სიმპათიებით ვუყურებ ამ ახალგაზრდა გოგონას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სიტუაცია დაელაგებინა. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ წულუკიანი არის ალასანიას გუნდის წევრი და მე ალასანიას გუნდის პერსპექტივას ივანიშვილის წასვლის შემდგომ, ქართული ოცნების კოალიციაში, ვერანაირად ვერ ვხედავ. ამიტომ ეს პროცესები ნელ-ნელა დაიწყება და პოლიტიკური სპექტრის გადაჯგუფება მოხდება. აქედან გამომდინარე არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. არც წულუკიანის და არც ნებისმიერის თანამდებობიდან წასვლა. რადგან ძალიან ძნელი იქნება იმ პირობებში გაძლება, როდესაც ბიძინა ივანიშვილი მთავრობის თავმჯდომარე არ იქნება. ამიტომ ეს გადამწყვეტი ფაქტორი იქნება იმისა, რომ მთავრობა ივანიშვილის წასვლის შემდეგ ძალიან ბევრმა ადამიანმა დატოვოს.

***— ძლიერ გუნდს გიტოვებთო და გამოდის, რომ ასე არ არის?***

— ბიძინა ივანიშვილის ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მე ამას ვერ დავეთანხმები. ბიძინა ივანიშვილის გარეშე, მისი გუნდი ფაქტობრივად არც არაფერს არ წარმოადგენს. მის გუნდში მინისტრთა კაბინეტში არის სულ სამი-ოთხი ადამიანი, რომლებსაც შეიძლება სახელმწიფოს მართვის სადავეები ჩააბარო. მეორე ქართული ოცნების საპარლამენტო უმრავლესობა, აქედან 20% თუა ღირსი იმისა, რომ პოლიტიკაში დარჩეს. 80% ეს არიან ადამიანები, რომლებიც საიდან მოხვდნენ პარლამენტში თვითონაც არ იციან. როდესაც ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, ამ პოლიტიკური პარტიის პერსპექტივას მე ველარ ვხედავ. ქართული ოცნება მინუს ივანიშვილი უდრის ნულს. მოდით, ასეთი ფორმულა გავაკეთოთ, ივანიშვილია მთლიანად ქართული ოცნება. ეს ვისაც უნდა, ეწყინოს და ვისაც უნდა, ესიამოვნოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასეა.

***— ბოლოს მის მემკვიდრეზეც გკითხავთ, ძალიან ბევრი გვარი სახელდება, მაგრამ ყველაზე ხშირად კვირიკაშვილის და ბახტაძის გვარები გაისმის...***

— მოდით, პირდაპირ გეტყვით, ივანიშვილის მემკვიდრე ეს იქნება არაპოლიტიკოსი და არაპოლიტიკური გუნდიდან. ეს იქნება უფრო ეკონომიური გუნდიდან და მოდით, პირდაპირ გეტყვით იმასაც, რომ ივანიშვილის შემდგომი პრემიერ-მინისტრი ეს იქნება სამი, მაქსიმუმ ოთხ თვიანი პრემიერ-მინისტრი, რომელიც გარდამავალი მთავრობის მეთაური იქნება..

## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილს შემოვლითი რკინიგზა ჭორვილას საცალფეხო ბილიკი ხომ არ ჰგონია?!“

ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ავჭალაში სტუმრობისას განაცხადა, სადაც მან შემოვლითი რკინიგზის პროექტის დაკონსერვება უარყოფითად შეაფასა.

„მე არასდროს ვყოფილვარ ასე გაბრაზებული. ეს მართლაც ყველა საზღვარს ცდება. 80% ამ მშენებლობისა პრაქტიკულად, დასრულებულია, ასობით მილიონი დახარჯულია. მინდა, თბილისელებმა გაიგონ, თუ რა არის ამ მშენებლობის არსი. რასართმევენ თბილისსა და თითოეულ თბილისელს. ეს როგორც კი დამთავრდება, თბილისში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება საცობები. მე მსოფლიოში არცერთი ავადმყოფი რეჟიმი არ მინახავს, რომელიც ამას გააჩერდებდა — არც კომუნისტური, არც ფაშისტური, არც განვითარებული, არც განუვითარებელი. მართლა უნიკალურები ვართ ქართველები. მინდა, მივმართო პრემიერ-მინისტრს, რომ აზრზე მოვიდეს, რადგან ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა. ამის გაჩერება რა არის, მართლაც ჭორვილას საცალფეხო ბილიკი ხომ არ ჰგონია?! ეს არის თბილისის მომავალი და ერთადერთი გადარჩენა, საქართველოს ყველაზ დიდი ეკონომიკური პროექტი. რამდენიც არ უნდა აყალბონ ეკონომიკური განვითარების ციფრები, ისევე როგორც აყალბებენ დანაშაულის ციფრები, ადრე ჭორებს არგებდნენ რეალობას, ახლა ციფრებს. აი, რატომ არის გაჩერებული განვითარება“, — განაცხადა სააკაშვილმა.

პირველი

# ოთარ ხუფენია: „საქართველოს ფინანსური კრიზისი არ ელოდება“

## ნაციონალებმა და მეოცნებეებმა ბიზნესსფეროები გადაინაწილეს

შორენა კოწოწაშვილი



**არის თუ არა ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა საშიშ ზღვარზე და რამდენად აუცილებელია, კოაბიტაციასთან ერთად, ძველი კადრების — ნაციონალების პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი საჯარო მოხელეების წმენდით დასრულდეს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სოციალური წონასწორობის ცენტრის“ პრეზიდენტ ოთარ ხუფენიასთან.**

— ბატონო ოთარ, საკმაოდ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა, რაც სოციალურ ფონს უფრო ამძიმებს. პრემიერმა მხოლოდ რამდენიმე დღის წინ აღიარა, რომ ეკონომიკაში ვარდნაა, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის წევრები გვიმტკიცებდნენ, საგანგაშო არაფერიაო. როგორც ეკონომისტი, რას იტყვით, რატომ მოუწია ივანიშვილს ამაზე ღიად საუბარი, ეკონომიკის კუთხით საგანგაშო ნიშნულს ვუახლოვდებით?

— ჯერ არა. მე არ ვთვლი, რომ მდგომარეობა საგანგაშოა, იმიტომ რომ არც ერთ სოციალურ გასაცემელში და არც ერთ საბიუჯეტო პროგრამაში, დაფინანსების თვალსაზრისით, შეფერხება არ არის; მეორეც, წინა წლის შემოსავლებთან შედარებით, წელს ბიუჯეტში მეტია მობილიზებული; და მესამე, ბოლო თვის ოფიციალური მონაცემით ზრდა არის 1,6%-ით. მე ადრეც ბევრჯერ მითქვამს, რომ 6% ნიშნულს, რაც იყო დაგეგმილი, ჩვენი ეკონომიკის ზრდა ვერ მიაღწევს. მაგრამ ამ ეტაპზე არანაირი სიმპტომი არ ჩანს იმისა, რომ საქართველოს კრიზისი ელოდება. ბიუჯეტს ეს პრობლემა არ აქვს, ეს ჯერ არ ჩანს.

*— თუმცა, იმის სიმპტომები არის, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ქვეყანაში ეკონომიკური საბოტაჟია. უჭირს ხელისუფლებას აქედან თავის დაძვრენა?*

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ რაც თქვენ ბრძანეთ, ჩემი აზრით, ეს ეკონომიკური პრობლემა არ არის, ეს უფრო პოლიტიკურია. რა მაქვს მხედველობაში: მხედველობაში მაქვს სწორედ ის ყბადაღებული კოაბიტაცია. მარტივ მაგალითს გეტყვით. გადავხედოთ ხელისუფლების ვერტიკალს და შევხედოთ, რა მოხდა რეალურად. მნიშვნელოვანი და სერიოზული გარღვევა არც ერთ სფეროში არ არის. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ვთქვათ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსულიყო ახალი კრეატიული ადამიანები. აბსოლუტური უმრავლესობა მმართველობის არათუ დაბალ და საშუალო რგოლში, უმაღლეს რგოლშიც კი დიდი უმრავლესობა წინა ხელისუფლების კადრებია დარჩენილი. ზოგადად ვთქვი და გავიმეორებ, რომ ეს არის ე.წ. კოაბიტაციის პროდუქტი, მაგრამ რეალურად არის შემაფერხებელი იმ პროგრამის რეალიზებაში, რომელიც თავის დროზე იქნა წარდგენილი. არა მარტო საარჩევნო პროგრამაში, როგორც დღეს ბევრი ამბობს, არა, ბატონო, საარჩევნო პროგრამაშიც ასეა და სამთავრობო პროგრამაშიც გადასულია ყველა ის დებულება. მაგრა,მ წარმოიდგინეთ, ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში აკეთებდნენ იმას, რასაც აკეთებდნენ და რაც ვიცით.

*— რითი ახსნიდით, მაინცდამაინც ახლა რატომ აღიარა პრემიერმა, რომ ეკონომიკური ვარდნაა ქვეყანაში?*

— აღიარება არაფერია. ამაზე მთავრობაც იძახდა. მესმის, თქვენ ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი გაქვთ მხედველობაში და ეს ციფრები დამალული არ ყოფილა. თუმცა, ორი კვირის წინ რაც დაზუსტდა, როდესაც მაის-ივნისის თვე თითქოს მინუსით იყო, დაზუსტებული ციფრებით არ არის მინუსი — 0,6%-ია. მე ვამბობდა ვთქვი კიდევაც, რომ იმ 6%-იან ნიშნულს, რაც იყო ნავარაუდევი, ქვეყანა, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწევს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეს ციფრები არ გვაძლევს, მე, ყოველ შემთხვევაში, როგორც დამოუკიდებელ ადამიანს, არ მაძლევს უფლებას ჩემი პროფესიული თავმოყვარეობა, რომ ვთქვა, იმის, გამო, რომ 0,6%-ია ზრდის ტემპი, ჩვენ ნოემბერში ან დეკემბერში ფინანსური კრიზისი გველოდება. არა. ამის არც ერთი ნიშანი დღეს არ ჩანს.

*— ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ის, რაც დღეს ხდება იმის შედეგია, რომ თავის დროზე ივანიშვილს ჩრდილოვანი კაბინეტი არ ჰყავდა და არ ჰქონდა გათვლა კონკრეტულ ჯგუფზე, რომელიც მოკლე პერიოდში შეძლებდა ქვეყანა სწორ ეკონომიკურ რელსებზე დაეყენებინა და გამოკვეთილი წინსვლა ყოფილიყო. გუნდის შერჩევაშია პრობლემა, მართლა ვერ გათვალეს „ქართულ ოცნებაში“, რომ ნაცმოძრაობა მარწუხებს ამ დონეზე მოუჭერდა თუ რა არის ამ ეკონომიკური ვარდნის მთავარი მიზეზი?*

— მე ვთვლი, რომ თქვენს კითხვაში მოცემული ორივე სიმპტომი სახეზეა. მე, პირადად, ორივე მათგანს ვიზიარებ, მათ შორის, საკადრო პოტენციალის შერჩევასაც. გეტყვით იმასაც, რომ არჩევნებამდე არანაირი ჩრდილოვანი კაბინეტი შექმნილი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში იმ ინფორმაციულ ველში, რომელზეც ხელი მიმიწვდებოდა და ეს არ ყოფილა. მეტიც, შესაძლებელი იყო თუ არა იმ დროის მოკლე პერიოდში? — მე ვთვლი, რომ არ იყო შესაძლებელი. რაც შეეხება იმას, მოსალოდნელი იყო თუ არა ასეთი წინააღმდეგობის შექმნა ნაციონალებისაგან, ფაქტია, მოსალოდნელი იყო. ამაზე არაერთი დასკვნა იყო. ექსპერტები ამაზე საუბრობდნენ, მაგალითად, მონოპოლიზებულ ბიზნეს-გარემოზე და ა.შ. იმდენად შეკრული სისტემა აღმოჩნდა, რომ რეალურად მისი დანგრევა დღესაც უჭირთ. მეტსაც გეტყვით: მაგალითად, დღემდე ორი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუცია, რომელიც პროგრამაშიც არის საარჩევნოშიც და სამთავრობოსიც, მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახურის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ გაკეთდა.

*— ალბათ, იმიტომ, რომ როგორც ექსპერტების ნაწილი მიანიშნებს, საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილს არც კი აწყობს ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაო. ასეა?*

— მოდით, ასე ვთქვათ, მეც ამ საზოგადოების წევრი ვარ და მეც მსმენია, რომ მავანს და მავანს შეიძლება ეს არ აწყობდეს. მაგრამ ჩემთვის ამ შემთხვევაში მთავარია, რა აწყობს ახალ ქართულ სახელმწიფოს. სახელმწიფოს კი აწყობს ამ ორივე ინსტიტუციის, სრულყოფილი ინსტიტუციის ჩამოყალიბება.

*— აბა, რატომ ვერ მოხერხდა აქამდე ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა? ვიცი, რომ ჯერ კიდევ თვეების წინ იკრიბებოდნენ გარკვეული ეკონომისტები, რომლებიც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დახვეწაზე მუშაობდნენ.*

— საერთოდ, 1 ოქტომბრამდე მე, პირადად, ვარ რამდენიმე შეხვედრის მონაწილე, აქტიურიც, სხვათა შორის, როცა იხილებოდა როგორც ერთი, ისე მეორე ინსტიტუციის პროექტები. მე ამ ადამიანებს სახეზე ვცნობ და, მინდა გითხრათ, რომ მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოში ბევრი არც არაფერია დასამატებელი. მეტსაც ვიტყვი, ანტიმონოპოლიური სამსახური იქნება თუ ფასიანი ქაღალდების რეგულაცია, ეს, პრაქტიკულად, უნიფიცირებული სისტემებია, ყველა ქვეყანაში. ამიტომ, აქ რაღაც ქართულ გამომგონებლობაზე კი არ არის ლაპარაკი. აქ საუბარია ნებაზე და გადაწყვეტაზე ამ პრობლემისა. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი დაგვიანებულია. შევეცადე, მეთქვა ღიად ისიც, რომ ამაში ვხედავ იმ კოაბიტაციის გავლენას.

*— კოაბიტაცია, ქართული გაგებით, ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის გარიგებაა თუ თანაცხოვრება, რაზეც პოლიტიკოსები ტელეეკრანებიდან აპელირებენ?*

— ცივილიზებულ ქვეყნებში ეს თანაცხოვრება ხერხდება ხოლმე. მაგრამ ეს თანაცხოვრება გარიგების კი არა, მოდით, ასე ვთქვათ, მორიგების ფორმას თუ მიიღებს, ეს სახელმწიფოებრივად ძალიან ცუდია.

*— ანუ ხელის მოთბობის ნიშნები არის და იკვეთება, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ბიზნეს-ინტერესებში ნაციონალებთან რიგდებიან?*

— არა, მე ამას გადაჭრით ვერ გეტყვით, მაგრამ ამის სიმპტომები არის. ვიღაცები რომ ამ კუთხით შეიძლება მართლაც ხელმრუდობდნენ, არც ამის გამორიცხვა არ შეიძლება.

*— ფაქტია, სულ უფრო მეტი პრეტენზიები ისმის კოალიციური ხელისუფლების მიმართ. პოლიტიკოსთა ნაწილი ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაზე საუბრობს. ხელისუფლებისგან ქმედით ნაბიჯებს ითხოვენ იპოთეკარები, რომელთა პრობლემაც წლების მანძილზე დაგროვდა. მართლაც პრობლემის გადავადებაა და არა მოგვარება, რასაც იპოთეკარებს საპარლამენტო უმრავლესობა სთავაზობს? რამდენად სწორი პოზიცია აირჩია ამ მხრივ ხელისუფლებამ?*

— მოდით, ბოლოდან დავიწყოთ. მიმაჩნია, რომ იპოთეკის საკითხი და, საერთოდ, ბანკებთან მიმართებით ასეულათასობით ადამიანის საკითხი უკვე გასცდა სოციალურ თემატიკას და ის უკვე იძენს ეროვნული პრობლემის ნიშან-თვისებებს. საქართველოში დღეს დასაქმებულია, საშემოსავლო გადასახადს იხდის 680, არა უმეტეს, 700 ათასი ადამიანი. სამწუხაროდ, სახელდება ამდენივე ადამიანი, რომელიც რიცხობრივად, რომლებსაც პრობლემები აქვთ საბანკო ვალდებულებების აღსრულებასთან დაკავშირებით. პარალელურად, დეკლარირებულია და, იმედი მაქვს, ძალიან მალე მოხდება დეკლარირებული ფონდების — საინვესტიციო, სოფლის მეურნეობის, სოციალურის — პრეზენტაცია, რაზეც, სხვათა შორის, სავსებით სამართლიანად მიგვითითა ორიოდე თვის წინ სავალუტო ფონდმაც კი, რომ აქ ღიაობაა საჭირო. ფაქტობრივად, იმ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც დღეს საქართველოშია, ეს ასეულათასობით ადამიანი ამ საინვესტიციო ფონდების მომხმარებლები ვერ იქნებიან. რატომ ვთვლი, რომ ეს იპოთეკარების პრობლემა უკვე ეროვნული სახის პრობლემა ხდება? — იმიტომ რომ, საბოლოო ჯამში, ეს ასეულათასობით ადამიანი არის შრომის რესურსი ამ ქვეყნისა. ეს ფონდები კიდევ გაიზრდება, რადგან ფული ყველაზე იაფი რესურსია, თუ ქვეყნის პოლიტიკა სწორია და დაცულია. საქართველოს მაგალითზე არ ვამბობ, ამას ვამბობ იმ სახელმწიფოების მაგალითზე, რომლებმაც შეძლეს ეკონომიკური ნახტომების გაკეთება. აქაც სხვა თემა ვერ იმუშავებდა. აქაც იგივე პროცესი იქნება. ეს ადამიანები ხელოვნურად იქნებიან გამოთიშული ამ პროცესიდან. მაშინ ვის შეიძლება მოხმარდეს ეს თანხები, რომელიც ამ ფონდებშია მობილიზებული? აი, აქ არის დიდი კითხვის ნიშანი და ამაზე ყველა ერთად უნდა დაფიქრდეს. ისევ მდიდარს? ანუ ამთვისებლები, ამ ფონდებში მოთავსებული სახსრების მომხმარებლები მხოლოდ ისინი არიან, ვინც დღეს კაპიტალს ფლობს თუ სხვა ვინმე? აქედან გამომდინარე, საფიქრალი მართლაც საჯაროდ და ღიად არის. ის რაც პარლამენტში იყო შესული იპოთეკარების დავალიანების გადავადების შესახებ და პირველი წაკითხვითაც კი ჩანს, რომ ეს პრობლემის მოგვარების მცდელობა არ არის. ოქროს კვეთის მექანიზმის მოძებნაა აქ საჭირო. ცემი, როგორც ეკონომისტის, ვალიდ მიმაჩნია, რომ ამ კუთხით ვიფიქროთ იპოთეკარების პრობლემის მოგვარებაზე. ეს არ არის არც ბანკის, არც კერძო იპოთეკარის და არც, ვთქვათ, ბანკის მევალის პრობლემა.

*— თუმცა, თქვენი კოლეგები, ეკონომისტები ამბობენ, რომ ამ თანხის გადახდას ბიუჯეტი ვერ იტვირთებს...*

— პირდაპირ ბიუჯეტს ნუ მივაბამთ. თუმცა ბიუჯეტი ერთ-ერთი ინსტრუმენტია ასეთი გლობალური პრობლემების გადაწყვეტის. არსებობს შიდა ვალის მექანიზმი, რესტრუქტურიზაციის მექანიზმი და ა.შ. ეს თემა შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, ჩემი დღევანდელი პედალირება ამ თემაზე იმით არის გამოწვეული, რომ უნდა გავაფართოვოთ ეს პრობლემა; რომ იპოთეკარების პრობლემა არ არის მხოლოდ ამ მხარეების დამოკიდებულება, არამედ ის იძენს ეროვნული საფრთხის ნიშნებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეს ადამიანები ვერ იქნებიან მომავალში თუ უკვე ფორმირებული საინვესტიციო ფონდების მომხმარებლები დღევანდელი კანონმდებლობის პირობებში. აქედან გამომდინარე, აქ არის რაღაც სერიოზული კონსენსუსი მოსაძებნი. ამ წუთას არც მე და არც სხვა ვინმე, არ არის მზად კონკრეტული რეცეპტის დასადებად, მაგრამ მე ვიცნობ ბევრ ჩემს კოლეგას, რომლებიც მზად არიან ამ პროცესის ანუ საუკეთესო რეცეპტის შემუშავებაში მიიღონ მონაწილეობა. მე არა მჯერა იმისიც, რომ ვიღაც გენიოსი დაიბადება და ამ რეცეპტს დადებს. როცა ერხარდზე ამბობენ, არ იყო ბატონო ის ერხარდის, მის გვერდით უამრავი კოლეგა იდგა. აქაც იგივეა. კიდევ ვიმეორებ, მინდა პრობლემის აქტუალიზაცია უფრო შორს დავანახო. ერთი, რომ ეს ადამიანები გამოეთიშებიან ამ პროცესს, მეორე — ეს ინვესტიციები მოხმარდება ისევ მდიდარს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ეს სოციალურ ფონს კიდევ უფრო გააუარესებს. .

# სერგო რატიანი: „თურქეთის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილება პრეზიდენტს 1–2 დღეში არ მიუღია“



საპარლამენტო უმცირესობის წევრ სერგო რატიანის განცხადებით, განსხვავებული პოლიტიკური ხედვა არ შეიძლება ეხებოდეს საკითხებს, რომლებიც საქართველოს ნაციონალური ინტერესებია. მისი თქმით, თანამედროვე სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი საზომი ისაა, თუ რამდენად ბევრ ადამიანს უჩნდება სურვილი, გახდეს ამ ქვეყნის მოქალაქე.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დეპუტატი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის საფუძველზეც თურქეთის 936 მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა.

მისი მოსაზრებით, პრეზიდენტის ამ ნაბიჯთან იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ნეგატიური დამოკიდებულება გაკვირვებას იწვევს.

„მნიშვნელოვანია, როდესაც საქართველოს მოქალაქეობის ქონის სურვილი უჩნდებათ იმ ადამიანებს, ვისთვისაც საქართველო წინაპრების სამშობლოა, რომლებსაც აქვთ საქართველოს მიმართ გარკვეული კულტურული იდენტობა. ამასთან, აქვთ საქართველოში საქმიანი ურთიერთობები. სამწუხაროა, რომ დღეს გვიწევს ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პირების დამოკიდებულებას ქართული სახელმწიფოს მიმართ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ხალხი თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი კულტურისა და ენის პოპულარიზაციის, კულტურათაშორისი ურთიერთგაგებისა და დიალოგის, კეთილმეზობლობის კიდევ უფრო განვითარების საქმეში“, — აღნიშნა სერგო რატიანმა.

მისივე განცხადებით, საკითხს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც სწავლობდა და მიხეილ სააკაშვილს შესაბამისი გადაწყვეტილება 1-2 დღეში არ მიუღია.

„სამწუხაროა, რომ დღეს უნდა შევახსენოთ ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს მარტივი ჭეშმარიტება: განსხვავებული პოლიტიკური ხედვა არ შეიძლება ეხებოდეს საკითხებს, რომლებიც საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს წარმოადგენს“, — დასძინა სერგო რატიანმა.

მედიანიუსი

# რატომ ექცევა ასეთი ყურადღება მევენახეობას

როლანდ ხოჯანაშვილი

საქართველოში ბევრჯერ გაიგონებთ, რომ საქართველო ღვინის, მეტალურგიის, საფეიქრო მრეწველობის თუ არაერთი სხვა დარგის სამშობლოა. ამჯერად ღვინის შესახებ ვისაუბროთ. თუ ბიბლიას დავუჯერებთ, მაშინ ებრაელი ერია ღვინის წარმოების პიონერი, მაგრამ სჯერათ ბევრს, რომ საქართველომ ჩაუყარა მეღვინეობას საფუძველი. ბუნებრივია, რომ ამ საკითხში სამხრეთ ევროპის ქვეყნები არ დაგვეთანხმებიან დიდი სიხარულით, თუმცა ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს ნაკლებად ადარდებთ ისტორიული წარსულის დეტალები, რადგან ბიზნესს აინტერესებს ფული და ბაზარი.

ერთი რამე უდავოა: საქართველოში 500-მდე ჯიშის ვაზია და ამათგან ძალიან ბევრი თავისი უნიკალური თვისებებით გამოირჩევა. სამწუხაროა, რომ ბევრი ჯიში, იმის გამო, რომ არარენტაბელურად ითვლებოდა, თითქმის გადაშენების პირასაა. სახელმწიფოს, რომელიც მხოლოდ წარსული დიდებით იკვებება, დიდი პერსპექტივა არ აქვს. საქართველოს მევენახეობა, როგორც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი, სსრკ-ს მასშტაბით აწარმოებდა მთლიანი მევენახეობის პროდუქციის 9%-ს, იმის შემდეგ კი, როცა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები დაიშალა, მევენახეობის პროდუქციის დათვლა ვერ ხერხდებოდა, თუმცა კერძომესაკუთრული ბუნების გათვალისწინებით, ღვინო და ღვინომასალების მოცულობა უნდა გაზრდილიყო. ჩვენს ქვეყანაში კარგა ხნის წინ ჩამოყალიბდა ფალსიფიცირებული ღვინის წარმოების ტრადიცია. ორი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ძირითადად აფასებდნენ ღვინოს არაპროფესიონალები, ეს იყო ფერი და თრობის ეფექტი („სიმაგრეს“ ეძახიან ახლაც ამ ეფექტს), ამიტომ მოხდა ღვინის ფალსიფიკაციის რამდენიმე აპრობირებული მეთოდის დამუშავება, მათ შორის ყველაზე ძველია საქაროზით ღვინის ფალსიფიკაცია. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ასეთ ქმედებას (მეღვინეობის პრაქტიკაში აკრძალულია: ყურძნის წვენისა და კონცენტრირებული ყურძნის წვენის დადუღება ღვინის მისაღებად; ღვინის წარმოება ჭაჭისაგან, ლექისა და ქიშმიშისაგან; გამოხდისათვის განკუთვნილი შემაგრებული (დასპირტული) პროდუქტის გამოყენება ღვინის წარმოებაში; წყლის დამატება ჩამოთვლილი ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციისათვის, გარდა სპირტიანი სასმელებისა; სუფრის, მხარის, ადგილწარმოშობის დასახელების, ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებისათვის ეთილის რექტიფიცირებული ან სხვა სპირტის დამატება, გარდა ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებისათვის განკუთვნილ ლიქიორში შემავალი საბრენდე სპირტისა; ღვინის წარმოების ყველა ეტაპზე ნებისმიერი წარმოშობის ეთილის სპირტის დამატება, გარდა შემაგრებული ღვინოების წარმოების დროს და ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებისათვის განკუთვნილი ლიქიორის დასამზადებლად გამოყენებული საბრენდე სპირტისა; ღვინის წარმოების ყველა ეტაპზე საქაროზას დამატება, გარდა ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებისათვის განკუთვნილი ლიქიორისა; გლიცერინისაგან, მღებავი ნივთიერებებისაგან, ესენციებისაგან ან/და სხვა არაყურძნისეული კომპონენტებისაგან ან/და ქიმიური რეაგენტების გამოყენებით ღვინის დამზადება; ღვინოპროდუქციისათვის იმ ნივთიერებების დამატება, რომლებიც არ არის ნებადართული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით). საოჯახო პირობებში ფალსიფიცირებული ღვინოების წარმოების აკრძალვა შეუძლებელია, რადგან პირადი მოხმარებისთვის, როგორიც უნდა, ისეთს აწარმოებს, თუმცა ამით საკმაოდ ზარალდება ღვინის ბაზარიც და ადამიანის ჯანმრთელობაც.



ერთი ყველაზე გამოცოცხლებული დარგი მევენახეობაა. ამ მიზნით, სახელმწიფო 25 მილიონი ლარის გამოყოფას გეგმავს. გარდა ამ თანხის გამოყოფისა, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმულატორი რუსეთის ბაზრის გახსნაცაა. რამდენიმე მილიონის ღირებული ღვინის გატანამ მეღვინეებს იმედი მისცა, რომ ტრადიციულ და დიდ ბაზარზე დაბრუნდებიან. მართალია, ამბობენ, რომ რუსეთში ძირითადად ბ. ივანიშვილის ძმამ გაიტანა საქონელი, თუმცა 30 მილიონ დოლარამდე ღირებულების ექსპორტი მაინც ერთგვარი პოზიტივია.

სამინისტრო მომავალი წლისათვის მეტ მობილიზებას აპირებს და გეგმავს: 1. ვენახების ფართობის დადგენა, აღწერა, დავენახების აღრიცხვიანობის საკადასტრო სისტემის შექმნა და ჯიშების მიხედვით დარაიონება. 2. ყურძნის რაოდენობისა და წარმოების მასშტაბების განსაზღვრა სხვადასხვა რაიონის მიხედვით, რათა გამოიკვეთოს ღვინის სახეობები, რომელიც შეიძლება წარმოებაში გამოიყენონ. 3. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფერმერთა კოოპერატივების შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკუთარი პროდუქციის რეალიზებაზე. 4. ხელშეწყობა მცირე საწარმოების შესაქმნელად და ბაზრებზე სარეალიზაციოდ გასასვლელად, რის შემდეგაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლები მსხვილ მეწარმეებზე, სუბსიდირებასა და ფასების ცვალებადობაზე დამოკიდებული აღარ იქნებიან.

პოლიტიკური ფასია თუ არა 1 ლარი კილოგრამ ყურძენში, ამას გლეხებისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მართალია, საფერავის მეპატრონეები აპროტესტებენ თანაბარ ფასს, თუმცა ერთი პასაჟი კიდევ დამატებით: ყოველ რთველზე საჯარო სამსახურებს ჰქონდათ სახდელი დაკისრებული. კახელებს შევაშველოთ ხელიო და სოლიდარობის მოწოდებით ყიდულობდნენ უნდოდათ თუ არა... სწორი გითხრათ და მეც მიყიდია ყურძენი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ვენახების მოსავალიც მყოფნიდა მუდამ. სოლიდარობის გამო ნაყიდი ყურძენი ერთხელ საეჭვო წარმომავლობის აღმოჩნდა. წვრილმარცვალა, ნაკლებწვნიანი, უარომატო ყურძენი უფრო ჰიბრიდული ჯიშად მივიჩნიე და ერთ მოხალისე და უვენახო თანამშრომელს გადავულოცე (ფასი მე გადავიხადე). წელს საჯარო მოხელეები და მასწავლებლები თავისუფლები იქნებიან იმ მოლოდინისგან, რომ სექტემბრის ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი წავა „სოლიდარობაში“.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე შეადგენს 40 თეთრს, ხოლო 1 კგ საფერავის შემთხვევაში – 25 თეთრს. საფერავის სუბსიდირება იმიტომ არის დაბალი, რომ საფერავის პოპულარობა მაინც განსაზღვრავს მის გასაღებადობას.

ერთი საკითხიც უნდა გაირკვეს. რატომ ექცევა ყურადღება ამდენად მევენახეობას და სხვა დანარჩენს ბევრად უფრო ნაკლები? (ანალოგიურად–აჭარაში ციტრუსებზეა აქცენტი), როცა თვლის არაერთი ეკონომისტი, რომ მევენახეობას ნაკლებად სჭირდება სუბსიდირება, ღვინო არ არის ფუჭებადი პროდუქტი, მას ასაკთან ერთად ემატება ფასიც. ახლა, როცა რუსეთის ბაზარი გახსნილია, ხომ არ აჯობებდა სუბსიდიების გადასროლა თუნდაც მესაქონლეობაში? მემცენარეობის გარდა მეცხოველეობის დარგებიც რომ არსებობს, გიგლა აგულაშვილის მიერ დაპიარებული კამეჩის მაწონი მაინც გაიხსენონ სოფლის მეურნეობის მესვეურებმა! საქართველო მდიდარია ბუნებრივი საძოვრებითა და სათიბებით, რისი გამოუყენებლობაც განსაზღვრავს ქართულ ბაზარზე უცხოური ხორცისა და რძის პროდუქტების სიმრავლეს. ათიოდე დღის წინ საჩხერეში ერთი ფრანგული ქალაქის მერიის წარმომადგენლები დასამეგობრებლად ჩამოვიდნენ. ხუთმა ადამიანმა დიდი ამბით 350 გრამიანი ყველის კონტეინერი ჩამოიტანა და დეგუსტაციისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ფრანგები ჭკვიანი ხალხია და იციან, რომ ცხოველური წარმოშობის ცილები და ცხიმები ბევრად უსაფრთხო და ძვირფასია ადამიანის კვების რაციონში, ვიდრე მცენარეული, თან ღვინომასალები შეიცავს ალკოჰოლს, რომლის ნებისმიერი რაოდენობა არასასურველია ჯანმრთელობისთვის.

## პოლიციელებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იუსუფ ლაკაევი დაესხა თავს

პოლიციელებზე თავდამსხმელი რუსეთის მოქალაქეა, ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, რომლითაც ის ბათუმში 13 სექტემბრის ღამით მომხდარ ინციდენტის დეტალებს განმარტავს, რომლის დროსაც სამი მოქალაქე დაიჭრა. შსს-ს ცნობით, ლაკაევი საქართველოში არალეგალურად იმყოფებოდა.

– 2013 წლის 13 სექტემბერს, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1993 წელს დაბადებული ფირუზ წულუკიძე, ქ. ბათუმში მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს მალავდა, რომელიც საქართველოს საზღვრის გვერდის ავლით, უკანონოდ უნდა გადაეყვანა თურქეთის რესპუბლიკაში. მათ აღნიშნულ საქმიანობაში დახმარებას ასევე ბათუმში დროებით მცხოვრები, 1969 წელს დაბადებული თემურ ბახუნტარაძე უწევდა. აღნიშნული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოსა და აჭარის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიიღეს. ამავე დღეს, დაახლოებით 23:00 საათზე, ქალაქ ბათუმში ალ. პუშკინისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაზე, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა შეაჩერა იმ დროისთვის დაუდგენელი პირი, რომელსაც ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოსთხოვეს, აღნიშნულმა პირმა ხელჩანთიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და პოლიციელების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. თავდამსხმელმა მიმალვა სცადა, რა დროსაც რამდენიმე უმისამართო გასროლა მოახდინა. რის შედეგადაც დაიჭრნენ ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ი.დ და მოქალაქე ე.ხ; პოლიციამ გახსნა საპასუხო ცეცხლი თავდამსხმელის მისამართით, თავდამსხმელი დაიჭრა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელიც და მისი თანხმლები პირები – ფირუზ წულუკიძე და თემურ ბახუნტარაძე ადგილზევე დააკავეს.

სამივე დაჭრილი გადაიყვანეს ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწიათ. მათ სიცოცხლეს ამ დროისათვის საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებულია: პისტოლეტი, 19 ვაზნა, 1 ტყვიის გულა, ერთი დანა და მობილური ტელეფონი. ამოღებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციიდან დადგინდა, რომ თავდამსხმელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, საქართველოში არალეგალურად მყოფი, 1988 წელს დაბადებული იუსუფ ლაკაევია, ხოლო ლაკაევის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მისი კუთვნილი ფულადი თანხა და 19 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

თემურ ბახუნტარაძეს დროებით საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ერთი ხელყუმბარა. ხოლო, ფირუზ წულუკიძის სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი, ხის ტარით და ლითონის კონსტრუქციის სავაზნე კოლოფით, 6 სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის დანა ქარქაშებითა და ღვედებით, 2 სამხედრო შეფერილობის ზურგჩანთა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობის, მუქარის ან ძალადობის გაწევისა და პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე თავდასხმის ბრალდებით, სსკს-ს 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 353-ე მუხლის 2-ე ნაწილით და 353 პრიმა მუხლის 3-ე ნაწილით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

პირველი

## თუშეთში რამდენიმე დღის წინ დაკარგული ტურისტები იპოვეს

უნგრეთისა და ბულგარეთის მოქალაქეებს ბიანკა ტიმცსუკსა და სტეფან ბოიადჟიევს მთებში გზა აებნათ და დახმარება შემთხვევით შეხვედრილ მწყემსს სთხოვეს, რომელიც სამართალდამცველებს დაუკავშირდა.

პარალელურად, ტურისტების ოჯახის წევრების თხოვნის საფუძველზე, საქართველოში უნგრეთისა და ბულგარეთის საელჩოებმა შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს შეატყობინეს. დაკარგული ტურისტები, შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონული სამმართველოს და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამაშველო-საძიებო სამუშაოების შედეგად იპოვეს. ტურისტები საქართველოში ბულგარეთის და უნგრეთის საკონსულოს წარმომადგენლებმა შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონის სამმართველოში პირადად მოინახულეს.

პირველი

## დღეს საქართველოში ახალი სასწავლო წელი იწყება

დღეს საქართველოს საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახალი, 2013-2014 სასწავლო წელი დაიწყება. როგორც „მედიანიუსს“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს, ახალი სასწავლო წლის დაწყებას მინისტრი თამარ სანიკიძე მოსწავლეებს თბილისის 47-ე საჯარო სკოლაში მიულოცავს. მისი მოადგილეები კი ამავე მიზნით რეგიონებს ეწვევიან. ამის შემდეგ თამარ სანიკიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლებს და სტუდენტებს სწავლის დაწყებას მიულოცავს. როგორც სამინისტროში განმარტავენ, კერძო სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები სასწავლო წლის დაწყების თარიღს თავად ადგენენ. კერძო სკოლებისა და უმაღლესების ნაწილში მეცადინეობა უკვე განახლებულია.

მედიანიუსი

## პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია დაკითხვებს იწყებს

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შესასწავლად შეიქმნა, კონკრეტული პირების დაკითხვებს დღეიდან დაიწყებს. დაკითხვები პარლამენტში გაიმართება და მასზე დასწრება ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება. კომისიას უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობს.

„პირველი კვირის განმავლობაში დასაკითხად მოწვეული გვყავს ყველა ის ადამიანი, ვინც კომისიაში საჩივარი შემოიტანა სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით. ვინც დავობს მათ მიმართ წლების განმავლობაში შექმნილი პრობლემების შესახებ. ესენი არიან როგორც მედიის წარმომადგენლები – სხვადასხვა რეგიონული ტელევიზიების, საკაბელოების ხელმძღვანელები, ასევე კომუნიკაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები“, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

მედიანიუსი

## პარლამენტი ოქტომბერში მუშაობას შეაჩერებს

საქართველოს პარლამენტს ოქტომბერში მუშაობის დროებით შეწყვეტა მოუწევს. ეს მოახლოებულ, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. შესაბამისი გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და უმრავლესობის წევრებს შორის გამართულ კონსულტაციებზე მიიღეს. უმრავლესობის წევრის, ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, პარლამენტს საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში მუშაობის ერთი თვით შეჩერების უფლება კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. „იმის გამო, რომ ოქტომბერში ეს უფლება გამოვიყენოთ, სექტემბერი ძალიან დატვირთული გვექნება“, – აღნიშნა ზვიად კვაჭანტირაძემ.

მედიანიუსი

## პატრულმა დიდი ოდენობით დაკარგული თანხა და ნივთები მფლობელს დაუბრუნა

შსს-ს ცნობით, 14 სექტემბერს, 23:30 საათზე, თბილისის მეტროპოლიტენის საპატრულო პოლიციის სამმართველოს თანამშრომელმა მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ყავისფერი საფულე იპოვა, რომელშიც იყო: 2 მილიარდ 750 მილიონი ერაყული დინარის საბანკო ჩეკი, 1950 აშშ დოლარი, 160 ლარი, 152 720 ერაყული დინარი და პირადი საბუთები. სამართალდამცველებმა დაადგინეს აღნიშნული ნივთების მფლობელის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ის 1986 წელს დაბადებული, ერაყის მოქალაქე ალი თაიერ იბრაჰიმია. პატრულმა ნაპოვნი თანხა და ნივთები კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

მედიანიუსი

## სამაშველო რაზმები ორ რუს ალპინისტს ეძებენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მესტიის განყოფილების თანამშრომლები მწვერვალ უშბაზე დაკარგული ორი რუსი ალპინისტის სამძებრო სამუშაოებს აქტიურად აწარმოებენ, – იტყობინება შსს.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დამატებითი ძალები ადგილზეა მობილიზებული. მწვერვალ უშბისკენ მიმავალი ყველა არსებული მარშუტის საჰაერო დაზვერვა მიმდინარეობს. სამაშველო ჯგუფი ძიებას ხმელეთიდან სრული სამთო აღჭურვილობით აგრძელებს.

მედიანიუსი

## სოხუმში მოკლული რუსი დიპლომატის მეუღლე გარდაიცვალა

სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სოხუმში 9 სექტემბრს მოკლული რუსი დიპლომატის მეუღლე ოლგა ვიშერნევა გარდაიცვალა. „აფსნი პრესის“ ცნობით, გარდაცვლილის ცხედარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენს.

ოლგა ვიშერნევას საავადმყოფოში ექიმებმა ოპერაცია ჩაუტარეს და ორი ტყვია ამოიღეს, თუმცა ექიმების ძალისხმევის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში რუსეთის ელჩის პირველი მოადგილე დიმიტრი ვიშერნევი სოხუმში 9 სექტემბერს მოკლეს. მისი მეუღლეც თავდასხმისას დაიჭრა.

მედიანიუსი

# ექვთიმე თაყაიშვილის იუბილე თბილისში აღინიშნება

ეკა ირემაშვილი

წელს ქართველი წმინდანის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს იუნესკო ზეიმობს. ქართული ეკლესიის მიერ 2002 წელს ექვთიმე ღვთისკაცად შერაცხული მეცნიერის იუბილეს აღნიშნავს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება" და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე.

როგორც ფონდის ხელმძღვანელმა „ახალ თაობასთან" საუბრისას განაცხადა, სპეციალურად ამ თარიღისთვის გამოიცა 1000-გვერდიანი წიგნი „ექვთიმე თაყაიშვილი 150", რომლის ავტორიც თავად არის. რედაქტორია მარიკა მშვილდაძე, მხატვარი – ემირ ბურჯანაძე. წიგნი, რომელიც 3 კილოგრამს იწონის და 300 ცალიანი ტირაჟით გამოიცა, გამომცემლობა „გლობალ პრინტ პლუსმა" გამოსცა და შპს „სვეტში" დაიბეჭდა. წიგნში შესულია გამოჩენილი ქართველების გამონათქვამები ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ, საინტერესო და უცნობი ბიოგრაფიული ფაქტები, წერილები, მოგონებები. წიგნის საილუსტრაციოდ გამოყენებულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ემიგრაციის მუზეუმში და ექვთიმე თაყაიშვილის ბინა-მუზეუმში დაცული ფოტომასალა. საიუბილეო წიგნი სრულიად საქართველოსა კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით გამოიცა. სპეციალურად ამ თარიღისთვის „დუგლაძეების ღვინის კომპანიამ" ჩამოასხა თეთრი ღვინო წინანდალი და წითელი ღვინო მუკუზანი „ექვთიმე თაყაიშვილი 150".

ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის საიუბილეო ღონისძიებები 18 და 19 სექტემბერს თბილისში აღინიშნება. ფონდი „მამულიშვილთა გახსენება" და მისი საპატიო სტუმრები 18 სექტემბერს ვერის ბაღში ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან შეიკრიბებიან და მის ძეგლს გვირგვინით შეამკობენ. ღონისძიებაზე იმღერებს ანსამბლი „რუსთავი", სოფო და ბორის ბედიები. ამავე დღეს ფონდის წევრები და სტუმრები ვაშლოვნის №6-ში მივლენ, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ექვთიმე ღვთისკაცი. ბინა-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ საზოგადოება ავა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც ანსამბლი „ერისიონი" იმღერებს. ექვთიმეს საფლავს საზოგადოება გვირგვინით შეამკობს და მთაწმინდაზე დაკრძალული ყველა მამულიშვილის საფლავზე თითო ვარდს დადებს. საღამოს კი პანტომიმის თეატრი სპეციალურად ამ იუბილესთვის ითამაშებს სპექტაკლს „კრიმანჭული", სადაც დასწრება თავისუფალია.

19 სექტემბერს ექვთიმე თაყაიშვილის იუბილეზე დაგეგმილია ფონდის მიერ გამოცემული წიგნის პრეზენტაცია რუსთაველის თეატრში, რომელსაც დაასრულებს საიუბილეო ღონისძიება რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. საიუბილეო ღონისძიების წამყვანები ჯემალ ღაღანიძე და დიმა ჯაიანი იქნებიან, მასში მონაწილეობას მიიღებენ ირმა სოხაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ლელა თათარაიძე, ტრიო „კელაპტარი", თემურ გუგუშვილი, ეთერ კაკულია, „ერისიონი" და მასზე დასწრებაც თავისუფალი იქნება. საიუბილეო საღამოზე ჩამოდიან დელეგაციები ოზურგეთიდან, გურჯაანიდან, საჩხერედან, სიმონეთიდან, ლაგოდეხიდან.

**ბონდო კობაძე, ფონდის ხელმძღვანელი:**

– წელს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება გადავწყვიტეთ. ჩვენი ფონდისთვის ექვთიმე თაყაიშვილის იუბილეს აღნიშვნა რიგით 22-ე ღონისძიებაა. ძალიან მეხმარებიან ღონისძიებების ორგანიზებაში თენგიზ უთმელიძე და ვახტანგ გაჩეჩილაძე. ექვთიმე ღვთისკაცი, რომლის იუბილესაც იუნესკოც აღნიშნავს, ქართველმა ხალხმა მიატოვა. მერიამ მხოლოდ ორი გვირგვინი და ყვავილები გამოყო, დახმარებაზე უარი მითხრა კულტურის სამინისტრომაც. ერთი თეთრი არ გაიმეტეს იმ ადამიანებმა და ორგანიზაციებმა, ვისაც ეს რეალურად შეეძლო. ამ წიგნზე ერთი წელი ვმუშაობდი, დილის 5 საათიდან ღამის 2 საათამდე. თაყაიშვილებმა მადლობა მითხრეს, აღტაცებულები არიან ამ გამოცემით. ოზურგეთის რაიონი ექვთიმე თაყაიშვილის იუბილეს აღნიშვნას ოქტომბერში გეგმავს. ჩვენი ფონდი ამ თარიღს ყველაზე გრანდიოზულად აღნიშნავს, რამაც თაყაიშვილების დიდი სიხარული გამოიწვია. მის მემკვიდრეებს უკვე დავუკავშირდი. ექვთიმეს ძმის ნიკო თაყაიშვილის შვილიშვილი ნუნუ თაყაიშვილი მხარში მიდგას. იცით, რომ ექვთიმეს ორი ძმა და ერთი და ჰყავდა. ვარლამს და ექვთიმეს არ დარჩათ მემკვიდრეები, მხოლოდ ნიკოს ჰყავდა მემკვიდრეები და მათ დას ლისას. ლისას შვილი იყო გენერალ მაიორი გიორგი გოთუა, რომელიც დაკრძალულია ბელგრადში. ლისას შვილთაშვილი გიორგი გოთუა მონაწილეობს ჩვენს ღონისძიებაში, იგი კონსერვატორიის ყოფილი რექტორის მანანა დოიჯაშვილის მეუღლეა.




ჩვენს ღონისძიებებზე, რომლებიც 18 და 19 სექტემბერს გაიმართება, ველოდებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და საქართველოს პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართული ღონისძიებისთვის ქვით ფერწერის დამაარსებელმა ოზურგეთელმა ალეკო ლომაძემ დაამზადა ქვაში ექვთიმეს სურათი, რომელსაც თეატრის სცენაზე დავკიდებთ. ღონისძიების დასასრულს კი ამ ნამუშევარს და ტრანსფარანტს, საჩუქრად ექვთიმე თაყაიშვილის ფონდს გადავცემთ. ექვთიმეს ფონდს ვაჩუქებთ ასევე წიგნს და ღვინოს. დიდი მადლობა რუსთაველის თეატრს, რომ უსასყიდლოდ დამითმო დარბაზი. მიმაჩნია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი იუბილეს აღნიშვნას სწორედ რუსთაველის თეატრში იმსახურებს.

*– რა იქნება თქვენი ფონდის მომავალი ღონისძიება?*

– 2014 წელს მინდა განვახორციელო ჭაბუა ამირეჯიბის და მერაბ ბერძენიშვილის ოცნება. გაისად აღინიშნება დავით აღმაშენებლის მეფობიდან 925 წელი და გიორგი მეხუთე ბრწყინვალის მეფობიდან 700 წელი. მომმართეს ჭაბუა ამირეჯიბმა და მერაბ ბერძენიშვილმა, რომ მათ სიცოცხლეშივე ნახონ ეს პროექტები განხორციელებული ჩემი ხელმძღვანელობით. ეს მსოფლიო დონის და ძვირადღირებული პროექტებია, ამიტომ მინდა ვთხოვო ბიძინა ივანიშვილს, რომ მხარი დამიჭიროს. რაც მთავარია, დავით აღმაშენებლის ძეგლი აუცილებლად გადმოტანილი უნდა იქნას თავის ადგილზე, ისე ეს ღონისძიება ვერ ჩატარდება. მომავალი წლის ივნისამდე, ძეგლი ისევ რესპუბლიკის მოედანზე უნდა დაბრუნდეს. ორივე ღონისძიება 10 დღიანი პროექტებია, საკმაოდ ხანგრძლივი და მასშტაბური. პირობას ვაძლევ საქართველოს, რომ ჩამოვაცილებ ქართველებს იმ დიდ ლაქებს, რომლებიც ნაციონალებმა დაუტოვეს ჩვენს ქვეყანას. აღმაშენებლის იუბილეს ივნისის ბოლოს აღვნიშნავთ, ხოლო გიორგი ბრწყინვალის იუბილეს – სექტემბრის ბოლოს. 15 ოქტომბრამდე უნდა გადაწყდეს ამ პროექტების დაფინანსების საკითხი. თუ ეს ღონისძიებები არ დაფინანსდა, მაქვს მეორე ვარიანტიც – მომავალი წლის ზაფხულში აღინიშნება დიმიტრი ყიფიანის დაბადების 200 წელი. ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის განმტკიცების მიზნით, დავით გურამიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომელიც დაკრძალულია უკრაინაში და უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომელიც დაკრძალულია საქართველოში, აღვნიშნოთ ტარას შევჩენკოს დაბადების 200 წელი. ჩემთვის, რა თქმა უნდა, პირველი ვარიანტი ჯობია, რადგან მას მსოფლიო მნიშვნელობის დატვირთვა აქვს.

ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილეს გამოეხმაურნენ ცნობილი ქართველები.

**ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

– უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი იმ დიდებულ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც სიმტკიცის სიმბოლოდ და ქართული სულიერების ნიშანსვეტად აღიქმება ჩვენი ერისთვის. იგია მაგალითი იმისა, რომ წმინდანთა ცხოვრება არ არის მხოლოდ წარსულის კუთვნილება, რომ მოყვასისთვის მცხოვრები და ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები ჩვენს ყოფაშიც არსებობენ და რომ სწორედ ასეთი სიცოცხლეა ღირებული და მისაბაძი. შევთხოვ მის ნათელ სულს, შეგვეწიოს ჩვენ მეტად მძიმე ჯვრის მტვირთველობაში.

**ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი:**

– ფასდაუდებელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი სამშობლოს წინაშე და მეტად რთულია სიტყვით, თუნდაც ყველაზე ხმამაღალით შეაფასო მის მიერ განვლილი გზა, მისი მოღვაწეობა სამშობლოსადმი თავდადება და ერთგულება. ის იყო დიდი მეცნიერი – არქეოლოგი, ისტორიკოსი, ქართული ფილოლოგიის სწავლული, რუსთველოლოგი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი ფოლკლორის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ლინგვისტიკის, ხელოვნების დარგში, მაგრამ იგი კიდევ უფრო დიდი ერისკაცი იყო. იგი ვერც შიმშილმა გატეხა, ვერც გაჭირვებამ, ვერც დამცირებამ. მრავალი განსაცდელის მიუხედავად, ექვთიმე თაყაიშვილმა შეუნარჩუნა და სამშობლოს დაუბრუნა საგანძური, რომელიც ბოლშევიკებისგან გადასარჩენად უცხოეთში გაიტანეს. დღეს რომ ჩვენს მუზეუმებში ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს სიამაყით შევცქერით, სწორედ მისი თავგანწირვისა და ზნეობრივი გმირობის შედეგია. ქართველმა ხალხმა ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი უწოდა, ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა. გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქვეყანას დასჭირდა, როდესაც საქართველო სახელმწი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თბილისის ბიგ ბენდი უფასო კონცერტებს ჩაატარებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ველმოქმედო კონცერტს ერთი ორგანიზაცია რომ იყოს, არავინ ატარებს.

*– დასასვენებელ პარკებში ისევ დაუკრავთ?*

– წელს დავასრულეთ დაკვრა დასასვენებელ პარკებში, მაგრამ მომავალში აუცილებლად დავუკრავთ. ჩვენ არ ვწყვეტთ მუშაობას სტუდენტებთან, წლის დასაწყისში ვაძლევთ ახალ პროგრამას და წლის ბოლოსაც ვუტარებთ კონცერტებს.

*– ამ კონცერტების ჩატარების იდეა თქვენია?*

– დიახ. მერია ამ მხრივ მაგრად გვიდგას გვერდში. სარეპეტიციოს ალბათ გაგვირემონტებენ, მაგრამ მეშინია იმის, რომ იმისტებად და ამისტებად არის ეს ქვეყანა დაყოფილი და ჩვენ რა ვქნათ, კულტურის ხალხმა? მაგალითად, რომ გავაგზავნი წერილს და დაიწყებენ ლაპარაკს, აუ, ბიჭო, ეს ხომ ჯაზიაო?! აღარ შემიძლია, დავიღალე! ამ ჯაზით ჩვენ კომუნისტებს მოვუგეთ. არა მგონია ბატონი გურამ ოდიშარია არ მიცნობდეს და ჩემს წერილებზე არ რეაგირებდეს. ჩვენი პროექტი უნდა დაიდოს იმ პროექტებს შორის, რომლებიც მომავალ წელს უნდა განხორციელდეს. „ნიუ იორკ ვოისმა" ობამას დაბადების დღეზე იმღერა და მათი ჩამოსვლა და ჩვენს ორკესტრთან დაკვრა, მართლაც პატარა ამბავი არ არის. ეს იგივეა პავაროტი რომ ჩამოიყვანო და სიმფონიურ ორკესტრთან ამღერო. ამ კონცერტის ჩატარება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გვაქვს გადაწყვეტილი. თვითონ თანახმანი არიან, რომ რვა წარმატებულ ახალგაზრდა მომღერალს, რომლებსაც ჩვენ წარვადგენთ სიას კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, ჩაუტარონ მასტერ კლასი.



*– თუ კულტურის სამინისტრომ უარი თქვა?*

– მაშინ უნდა მივმართოთ სხვა ორგანიზაციებს და სხვა კულტურის სამინისტროს.

*– სხვა კულტურის სამინისტრო რომ არ გვაქვს?*

– გვაქვს, გვაქვს. მაშინ ხალხი არის სხვა კულტურის სამინისტრო.

*– თბილისის ჯაზფესტივალი ახლოვდება. ხართ პროგრამაში ჩართული?*

– არა, ჩვენ არ ვმონაწილეობთ. 28, 29, 30 სექტემბერს და პირველ ოქტომბერს არის წელს თბილისის ჯაზფესტივალი. მართლა ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ ბიჭები. ჩვენი ორკესტრი ვერ მიიღებს მონაწილეობას, იმიტომ რომ ჯოჯო მაიერი რაც მინდოდა, ერთი დღე რომ ამოვარდნილია, მანდ უნდა გამოსულიყო, მაგრამ უარი გვითხრეს. თან კაპიკები იყო, ბევრ თანხას კი არ ვითხოვდით?! 25-30 ათას ლარამდე იყო. თან მასტერკლასებსაც ჩაატარებდა.

*– იცნობთ პირადად გურამ ოდიშარიას?*

– როდესაც მისი პიესა დაიდგა სამეფო უბნის თეატრში თემურ ჩხეიძის მიერ, დამირეკა თემურმა და მითხრა, მოდი, აბა ნახე როგორი გამოდისო და ვიყავი მისული. დიმა ჯაიანმა რომ ითამაშა, ძალიან მომეწონა, რომ ვიკითხე ვინ არის დრამატურგი-მეთქი, მითხრეს სოხუმელი კაციაო. შინაგანად ამ ადამიანს პატივს ვცემ. მაგანაც პატივი მცეს, იმიტომ რომ მე ჯაზის მამა ვარ!

*– თქვით, რეპერტუარი განვაახლეთო, რა გაქვთ ახალი რეპერტუარში?*

– ჩვენ ბლოკებად გვაქვს დაყოფილი ახალი სიმღერები. ვოკალში ახალი სიმღერები გავაკეთეთ, გოგოები ტრიოებში მუშაობენ, მაია ბარათაშვილს ახალ სიმღერებს ვუკეთებთ, ალეკო ბერძენიშვილს ახალი სიმღერები აქვს, მარი პავლიაშვილს ახალი სიმღერა აქვს, ასევე მარიკო ებრალიძესაც. თან ვემზადებით მომავალი წლისთვის. ლატვიის ბიგ ბენდი გვპატიჟებს და მერია შეგვპირდა, რომ გაგვაგზავნის. საფრანგეთიდან დაინტერესებულია ერთ-ერთი ბიგ ბენდის ხელმძღვანელი, რომ ჩვენ გვქონდეს ურთიერთობები და პლუს მოსკოვის ბიგ ბენდის ხელმძღვანელი ანატოლი კროლი აქტიურად მეკონტაქტება, რომ გავაკეთოთ შეჯიბრი ორი ბიგ ბენდის, რომ სცენაზე ორი ბიგ ბენდი იჯდეს. მაგარი პროექტებია, მაგრამ „ნიუ იორკ ვოისი" ხურავს ყველაფერს. ეს უკვე მაჩვენებელია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის და ხარისხის. როგორც ვიცი, კულტურის სამინისტროში ახლა იწყებენ მომავალი წლის ღონისძიებების გაწერას. ჩვენი ღონისძიება 2014 წლის მარტის თვეშია ჩანიშნული. ჩვენ ახლა უნდა გვითხრან თანხმობა, რომ ნოტების გამოგზავნა ვითხოვოთ და აქტიური მეცადინეობა დავიწყოთ.

*– როდის გეცოდინებათ პასუხი?*

– ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღეა წერილი მივწერეთ კულტურის მინისტრს და... ეს მართლა დიდი საქმე იქნება. ისიც კი ვთქვი, რომ კულტურის სამინისტროსთან მოხდეს მოლაპარაკება და შემოსავალი რაც იქნება, თანხას ხომ ჩადებენ, უკან წაიღონ ფული, ან გავაკეთოთ საქველმოქმედო კონცერტი, ავარჩიოთ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი, ვისაც იტყვიან და სასწავლებლად გაუშვათ. მართლა მარტო ფულის გულისთვის ხომ არ ვაკეთებთ კონცერტს? როგორი საქმეა? აბა კულტურის სამინისტროს ფუნქცია მაშინ სხვა რა არის? ამისთანა პროექტს მათ სხვა ვერავინ დაუდებს! მინდა, რომ ქართული საქმე გაკეთდეს მსოფლიოში! ჩემმა თაობამ სისხლით მოიტანა ჯაზფესტივალები აქამდე და ეს არ იყო ადვილი საქმე. თბილისის ბიგ ბენდი ერთადერთი ორკესტრია საქართველოში, თან სახელმწიფო ორკესტრია, ეს ხომ არ არის კერძო?! ამ მხრივაც კულტურის სამინისტროს ხელ-ფეხი გახსნილი აქვს, წელიწადში ერთი პროექტი რომ დაგვიფინანსონ, მგონია, რომ ამით არაფერი დაშავდება.

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ჯანყი კალათბურთში — პრეზიდენტი მინისტრს ადანაშაულებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩარ მარკოიშვილი კი გამაყუჩებლებით თამაშობდა და მინდა მადლობა გადავუხადო მას ასეთი თავდადებისთვის. თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ნაკრებს თავისი შესაძლებლობების 50 პროცენტით მაინც დაეხმარა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ დღეს ჩვენი ნაკრები ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს და თანაბრად შეუძლია თამაში გრანდების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და კერძოდ მინისტრ ლევან ყიფიანის არასამართლიან მოქმედებებზე ისაუბრა:

— ფედერაციისა და ნაკრების მიმართ იყო ზეწოლა, სამინისტრო მთელი წლის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ფედერაციას შედეგი არ ჰქონოდა. ჩვენ გვქონდა პასუხისმგებლობა ევროპის ჩემპიონატზე გასულ ეროვნულ და ასაკობრივი ნაკრებების წინაშე, ამიტომ თავს ვიკავებდით კომენტარების გაკეთებისგან, თუმცა დღეს დასამალი აღარაფერია. გააკეთეს ის, რასაც მინისტრიც და მიშა ახვლედიანიც რამდენიმე თვის წინ აცხადებდნენ — ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს კლუბები დაატოვებინეს. სეზონის დასრულებისთანავე კლუბიდან გაუშვეს გია კაზანჯიანი, რომელიც უშუალოდ მინისტრის დაქვემდებარებულ გუნდ „ოლიმპში“ მუშაობდა. ევროპის ჩემპიონატზე თამაშები ჰქონდა და სწორედ ამ დროს გაუშვეს „რუსთავიდან“ 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი მიხეილ ბერუაშვილი, ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ყოფნისას მოხსნეს „ქუთაისის“ მწვრთნელი, დავით უსტიაშვილი და იყო მცდელობა „არმიის“ მწვრთნელის, კოტე ტუღუშის გაშვებისაც, თუმცა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა გაერკვა სიტუაციაში და კოტე კლუბში დარჩა. თანაც ამ ყველაფერს მწვრთნელები პრესის საშუალებით იგებდნენ. მინისტრს სურს მისი უახლოესი მეგობარი მიხეილ ახვლედიანი მოიყვანოს ფედერაციაში პრეზიდენტად. ხორციელდებოდა ზეწოლა მწვრთნელებზე და ამ ფაქტებს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი განიხილავს. აქ არ არის საუბარი ბესო ლიპარტელიანზე, აუცილებელია ჯანსაღი კონკურენცია, ყველას უნდა მიეცეს საშუალება თავისი გეგმები და აზრები საჯაროდ გამოხატოს. ის რაც უკვე გაკეთდა, სწორი მიმართულებით უნდა წავიდეს. ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის დროს მინისტრს ერთხელაც არ მოუკითხავს ნაკრების მდგომარეობა, არც მოგებას მოჰყოლია რაიმე გამოხმაურება და არც წაგებას, არავინ დაინტერესებულა რა სჭირდებოდათ ბიჭებს, როგორ იყვნენ. ნაკრები 19-24 აგვისტოს თბილისში იმყოფებოდა შეკრებაზე, თუმცა მინისტრს არც უნახავს ბიჭები, არც ერთ ვარჯიშს არ დასწრებია და არც გაუცილებია. სათამაშო სახეობებში ნამდვილად არ ვართ განებივრებულები საქართველოს ნაკრების კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშით. მარტო აქედან გამომდინარე, კალათბურთელები ცოტა მეტ ყურადღებას იმსახურებდნენ, მაგრამ ყურადღება საერთოდ არ ყოფილა.

ფედერაციის პრეზიდენტმა ისაუბრა ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ არვიდას საბონისის თბილისში ვიზიტზეც:

— თქვენ კარგად გახსოვთ რომ მარტის თვეში თბილისში იყო ჩამოსული ლეგენდარული კალათბურთელი, არვიდას საბონისი, რომელსაც ჰქონდა ჩამოტანილი თავის პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს კალათბურთი ამა თუ იმ ქვეყანაში. მაქსიმალურად ვეცადეთ და ისე გავაკეთეთ, რომ შემდგარიყო შეხვედრა ბიძინა ივანიშვილსა და არვიდას საბონისს შორის. პრემიერ-მინისტრთან 45-წუთიან შეხვედრაზე განხილული იყო ეს პროექტი. ბიძინა ივანიშვილმა უშუალოდ მისცა ლევან ყიფიანს დავალება და უთხრა ფედერაციასთან ერთად განეხორციელებინა ეს პროექტი, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილ.

ფედერაციის ყრილობასთან დაკავშირებით ფედერაციის პრეზიდენტმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

— იმის შესახებ, რაც არშემდგარ ყრილობაზე მოხდა და რაც მას წინ უსწრებდა, მოვამზადეთ წერილი, რომელიც გადაგზავნილია პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტში. წერილში დეტალურადაა აღწრილი, ვისგან და რა სახით მიდიოდა ზეწოლა და ახლა ველოდებით პასუხს.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ლიპარტელიანის მხრიდან შემდეგი განცხადება გაკეთდა:

— მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის რომ არჩევნები ჯანსაღ გარემოში ჩატარდეს. შევხვდები კლუბებს, სკოლებს და საკალათბურთო სამყაროს წარმომადგენლებს, რომლებსაც გავაცნობთ წესდებას და უზრუნველვყოფთ, რომ არჩევნები მაქსიმალურად სამართლიან პირობებში ჩატარდეს.

**დავით უსტიაშვილი:**

— ფაქტიურად მარტო ვიყავით ევროპის ჩემპიონატზე, არავის მოვუკითხივართ და რა თქმა უნდა ეს ძალიან ცუდია. საქართველოს ნაკრების შესახებ შეგიძლიათ უცხოელი სპეციალისტების კომენტარებს გაეცნოთ და ნახავთ რას ფიქრობენ ისინი ჩვენზე. საქართველო გახდა ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი.

**ლიპარტელიანის ბრალდებებზე ლევან ყიფიანმა კომენტარი გააკეთა:**

— პირველი არხის გადაცემა „არენაში“ და 13 სექტემბერს კალათბურთის ფედერაციაში მოწყობილ ბრიფინგზე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა „სიახლეების“ კასკადი მოაწყო. ყველაფერი, რაც ლიპარტელიანმა ამ ბრიფინგზე განაცხადა, სრული სიცრუეა. თურმე მე ვლობირებ კონკრეტულ პიროვნებებს. ეს არის არნახული სიცრუე. მე და ჩემმა ჯგუფმა სამინისტროში მოსვლისთანავე განვაცხადეთ, რომ ჩვენი პრინციპი ფედერაციების მუშაობაში ჩაურევლობა იქნებოდა და ასეცაა. თურმე მე ვერევი კლუბებში მწვრთნელების მოხსნა-დანიშვნებში. არ ვაქცევ ყურადღებას ნაკრების მომზადების პროგრამას... ამ ყველაფერს კადრულობს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი. მოვითხოვ ყველა იმ ბრალდებაზე მტკიცებულებას, რომელსაც მე, ლევან ყიფიანს, ბესიკ ლიპარტელიანი მიყენებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# „ტორპედო“ გალიდერდა, „სპარტაკი“ უქულოდ დარჩა

**ზესტაფონი — დილა 2:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 2:0 ქობალია (40, 64)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, კანდელაკი, თედორე გრიგალაშვილი, შარიქაძე, აჯურუ, სამუშია (ს.გურული 80), კუტალია (რაჟამაშვილი 87), ადამია, ქობალია (ენდელაძე 75)

**დილა:** რევიშვილი, ალადაშვილი, თომაშვილი, კვახაძე, გ.გურული, ღონღაძე, მაისურაძე (გორელიშვილი 53), აბურჯანია (ქვილითაია 71), დ.ბოლქვაძე, დოლიძე (ფილიევი 46), მოდებაძე

ტურის ცენტრალურ მატჩში „ზესტაფონმა“ გორის „დილას“ უმასპინძლა და მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა.

უნდა ითქვას, რომ შეხვედრა მასპინძელთა სოლიდური სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ, მათი დამსახურებული გამარჯვებით 2:0 დასრულდა.



მარგველები უპირატესობას მატჩის დებიუტშივე დაეუფლნენ და ერთმანეთის მიყოლებით კარის აღების კარგი შესაძლებლობები გიორგი ადამიას, ირაკლი ქობალიას და გურამ სამუშიას მიეცათ. თუმცა ანგარიშში დაწინაურება მასპინძლებმა მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს მოახერხეს — 40-ე წუთზე გიორგი ადამიას მიერ გორელთა საჯარიმოში ოსტატურად ჩაწოდებული ბურთი აუღებელი თავურით სტუმართა კარის ბადეში ირაკლი ქობალიამ გადაგზავნა.

სულ რაღაც ორ წუთში ანგარიშის გაზრდა გურამ სამუშიას მართებდა, მაგრამ ნუკრი რევიშვილთან პირისპირ გასული ზესტაფონელის დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. შეხვედრის მეორე ნახევრის დასაწყისში გორელთა მეკარეს ზედიზედ ორჯერ, ლევან კუტალიას და ირაკლი ქობალიას დარტყმების შემდეგ, მოუწია საკუთარი გუნდის კარის ხიფათისაგან ხსნა. 64-ე წუთზე კი რევიშვილიც უძლური გამოდგა და ანგარიში ორამდე გაიზარდა — გორელთა კარისკენ დანიშნული საჯარიმო დარტყმა ქობალიას ყუმბარისებრი დარტყმით დაგვირგვინდა.

დარჩენილ დროში გოლის გატანასთან უფრო ახლოს ისევ მასპინძლები იყვნენ, თუმცა, ანგარიში აღარ შეცვლილა.

**ტორპედო — გურია 1:0**

**ქუთაისი. ცენტრალური**

1:0 კუხიანიძე (73)

**ტორპედო:** ქვილითაია, სანდოხაძე, ცინცაძე, საბანაძე, ჯიქია (მზევაშვილი 59), კუხიანიძე, ხიდეშელი, გოროზია (გიგაური 69), მთივლიშვილი, კაპანაძე (ფანცულაია 84), უბილავა

**გურია:** ბობღიაშვილი, შალამბერიძე, იობაშვილი, ჩიკვილაძე, ჯიშკარიანი, ჯოჯუა, შენგელია (ჭეიშვილი 30), კოშკაძე, დარჩიძე (ჯოხაძე 76), კუკულაძე (ტორონჯაძე 58), ისიანი

**გაძევება:** იობაშვილი (72)

დიდი ხნის პაუზის შემდეგ შემდგარი ქუთაისურ-ლანჩხუთური დაპირისპირება მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა.

ორივე გუნდი ცდილობდა გამარჯვებას, მაგრამ, საბოლოოდ, მოიგო, რომელიც უფრო მონდომებული იყო. მასპინძლებს ამაში გურულებიც მიხმარენ — უფრო ზუსტად იობაშვილი, რომელმაც წითელი ბარათი მიიღო და „გურია“ ამის შემდეგ გატყდა.

73-ე წუთზე, მოედნის ცენტრიდან დაწყებული კომბინაცია გოლით დააგვირგვინა, უბილავას მიერ კარის გასწვრივ გაკეთებული გადაცემით ბურთი კარიდან 11-12 მეტრში მყოფმა გიორგი კუხიანიძემ გააჩერა, მეორე შეხებით კი ლანჩხუთელთა კარში მიუჩინა ადგილი — 1:0. ქუთაისელებს სხვაობის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ საბოლოოდ, ერთი გოლი იკმარეს, უპრობლემოდ მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე და გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

**დინამო (თბ) — ზუგდიდი 3:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 დვალი (26), 2:0 გრიგალაშვილი (50), 3:0 გოგა (66)

**დინამო:** ლორია, ხურცილავა, კვარაცხელია, უსტარიცი, შაშიაშვილი, პაპავა, ხმალაძე, ე.გრიგალაშვილი (ვუო 76), გოგა (ლექვთაძე 85), მერებაშვილი (სეთურიძე 89), დვალი

**ზუგდიდი:** მამალაძე, კანკია, მირცხულავა, აფაქიძე, ქვარცხავა (ონიანი 67), აქუბარდია (ჰამზა 67), გიორგი ხუბუა, მეგაჰედი, წურწუმია (ეხვაია 56), სიხარულია, გუგუჩია

„დინამომ“ იოლად მოიგო, სტუმრებს კი ეგვიპტელმა ლეგიონერებმაც ვერ უშველა.

ანგარიში ჯაბა დვალმა ლამაზი დარტყმით გახსნა. ასევე კარგი შესრულებული გამოდგა რუმინელი დორინ გოგას გოლიც. კიდევ ერთი გატანილი ბურთი ელგუჯა გრიგალაშვილის ანგარიშზეა.

**მერანი — ჩიხურა 3:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 მელქაძე (10), 2:0 ციკოლია (22), 2:1 ჯილაური (24), 3:1 ბაბუნაშვილი (40), 3:2 ოდიკაძე (91)

**მერანი:** შეროზია, ფარულავა, ქარქუზაშვილი, ხუბუა, მელიავა, ფონიავა, ციკოლია (კერძევაძე), მელქაძე ( შულაია), ბაბუნაშვილი, კუჭუხიძე, კვანტალიანი (გეგეჭკორი)

**ჩიხურა:** თევდორაძე, ჭელიძე, ჯილაური, გაბედავა, წინამძღვრიშვილი (ჩიკვილაძე), დათუნაიშვილი (ნ.კვასხვაძე), ბეჭვაია (ლომაშვილი), კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე, რეხვიაშვილი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-კრ.პალასი ................. 2:0
ასტონ ვილა-ნიუკასლი ................. 1:2
სანდერლენდი-არსენალი ................. 1:3
სტოკი-სიტი ................. 0:0
ტოტენჰემი-ნორვიჩი ................. 2:0
ფულემი-ვესტ ბრომვიჩი ................. 1:1
ჰალი-კარდიფი ................. 1:1
ევერტონი-ჩელსი ................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 2.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| 3.ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| 4.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| 5.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| 6.სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 7.ნიუკასლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | 7 |
| 8.ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| 9.კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 10.მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| 11.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| 12.საუთჰემპტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 13.ნორვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 14.ფულემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 15.ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 16.ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| 17.კრისტალ პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| 18.სუონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| 20.სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-ბლექბერნი ................. 1:1
ბოლტონი-ლიდსი ................. 0:1
ბორმნუთი-ბლექპული ................. 1:2
იფსვიჩი-მიდლსბრო ................. 3:1
ქპრ-ბირმინგემი ................. 1:0
ლესტერი-უიგანი ................. 2:0
მილუოლი-დერბი ................. 1:5
ნოტინგემი-ბარნსლი ................. 3:2
უოტფოტდი-ჩარლტონი ................. 1:1
ჰადერსფილდი-დონკასტერი ................. 0:0
უენსდი-იოვილი ................. 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-ალმერია ................. 4:2
ლევანტე-სოსიედადი ................. 0:0
ბარსელონა-სევილია ................. 3:2
ვილიარეალი-რეალი ................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| 2.ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| 4.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 5.ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 6.ესპანიოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| 7.სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 8.სოსიედადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| 9.ლევანტე | 4 | 1 | 2 | 1 | 2:8 | 5 |
| 10.გრანადა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 11.ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 12.ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| 13.რაიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| 14.ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 8:11 | 2 |
| 15.სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| 16.ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 17.ბეტისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 18.მალაგა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 19.ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 20.ოსასუნა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ნუმანსია ................. 3:1
ლუგო-ხირონა ................. 1:2
მირანდესი-უელვა ................. 0:3
სარაგოსა-ტენერიფე ................. 3:0
საბადელი-ეიბარი ................. 1:0

**იტალია. სერია ა**

ინტერი-იუვენტუსი ................. 1:1
ნაპოლი-ატალანტა ................. 2:0
ტორინო-მილანი ................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2.ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 3.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 4.ფიორენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 5.რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 6.მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| 7.ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 8.უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 9.ლივორნო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 10.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 11.კალიარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| 12.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| 13.ვერონა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| 14.სამპდორია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 15.კიევო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| 16.პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 17.ბოლონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 18.კატანია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| 19.ჯენოა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| 20.სასუოლო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-მოდენა ................. 1:0
ვარეზე-პესკარა ................. 3:2
კარპი-ემპოლი ................. 0:2
კროტონე-სპეცია ................. 1:0
ლანჩანო-აველინო ................. 1:0
ნოვარა-პადოვა ................. 1:0
ტრაპანი-რეჯინა ................. 4:0
ჩიტადელა-ლატინა ................. 0:0
იუვე სტაბია-სიენა ................. 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ფრაიბურგი ................. 2:1
ბაიერნი-ჰანოვერი ................. 2:0
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ................. 3:1
ვერდერი-აინტრახტი ................. 0:3
მაინცი-შალკე ................. 0:1
დორტმუნდი-ჰამბურგი ................. 6:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:4 | 15 |
| 2.ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 3.ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 12 |
| 4.ჰანოვერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| 5.მაინცი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| 6.აუგსბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:7 | 9 |
| 7.ჰერტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| 8.შალკე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| 9.გლადბახი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:8 | 6 |
| 10.შტუტგარტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:8 | 6 |
| 11.ვოლფსბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| 12.აინტრახტი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| 13.ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:8 | 6 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 2 | 1 | 12:12 | 5 |
| 15.ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 10:15 | 4 |
| 16.ფრაიბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:11 | 2 |
| 17.ნიურნბერგი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-კაიზერი ................. 1:0
ზ.პაული-ფრანკფურტი ................. 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტულუზა-მარსელი ................. 1:1
აიაჩო-ევიანი ................. 2:3
ვალანსიენი-სტ.ეტიენი ................. 1:3
გენგამი-ბასტია ................. 1:1
მონპელიე-რეიმსი ................. 0:0
ნანტი-სოშო ................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სტ.ეტიენი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 12 |
| 2.პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| 3.მონაკო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| 4.მარსელი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| 5.რეიმსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| 6.რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 7.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| 8.ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 9.ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| 10.ევიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| 11.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 6 |
| 12.ლორიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| 13.მონპელიე | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| 14.ნიცა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:7 | 5 |
| 15.გენგამი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| 16.ბორდო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 17.აიაჩო | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| 18.ვალანსიენი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| 19.ტულუზა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | 3 |
| 20.სოშო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლანსი ................. 6:2

**ჰოლანდია. ეიედივიზიონი**

აიაქსი-ზვოლე ................. 2:1
კამბური-ერაკლესი ................. 2:0
ტვენტე-პსვ ................. 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

რიუ ავე-გიმარაეში ................. 0:1
ბენფიკა-ფერეირა ................. 3:1
პორტუ-ჟილ ვისენტე ................. 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-როსტოვი ................. 1:0
ვოლგა-სპარტაკი ................. 0:1
კრასნოდარი-კრილია ................. 1:1
ზენიტი-ტერეკი ................. 2:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-სელტიკი ................. 1:3
კილმანროკი-ინვერნესი ................. 1:2
პარტიკი-აბერდინი ................. 0:3
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი ................. 1:2
სტ,მირენი-მოზერველი ................. 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-რაპიდი ................. 0:4
აუსტრია-გროდიგი ................. 2:3
ნოიშტადი-შტურმი ................. 1:3
ვოლფსბერგერი-ადმირა ................. 3:1

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-მეხელენი ................. 5:0
ლეუვენი-შარლერუა ................. 0:0
ბრიუგე-ლიერსი ................. 4:1
კორტრაიკი-გენტი ................. 3:0
ლოკერენი-სერკლი ................. 3:0
მონსი-ბევერენი ................. 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-აკჰისარი ................. 1:0
გაზიანთეპი-რიზე ................. 2:5

## შედეგები

ტრაბზონი-ქარაბუქი ................. 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანაითოლიკოსი-ერგოტელისი ..... 0:0
ვერია-პაოკი ................. 1:2
ოლიმპიაკოსი-ქსანთი ................. 4:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბანიკი-ბოჰემიანსი 1905 ................. 1:3
სლოვაცკო-პრჟიბრჟამი ................. 1:1
სიგმა-იიჰლავა ................. 4:3
სლავია-ბოლესლავი ................. 0:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზავიშა-კრაკოვია ................. 2:0
შლიონსკი-ლეხი ................. 2:0
კორონა-ლეგია ................. 3:5

**ლეგიადან 3 ბურთი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩევეცი-ზორია ................. 1:0
არსენალი-ვოლინი ................. 2:1
ვორსკლა-სევასტოპოლი ................. 2:2

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-ესბიერგი ................. 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ბრომაპოიკარნა ................. 1:0
ატვიდაბერგი-ესტერი ................. 4:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სონგდალი-ლილესტრიომი ................. 1:2
ჰაუგესუნდი-ვიკინგი ................. 1:1

**აშშ. მლს**

მონრეალი-კოლამბუსი ................. 1:2
დ.ს.იუნაიტედი-ლოს ანჯელესი .... 2:2
ნიუ იორკი-ტორონტო ................. 2:0
ფილადელფია-ჰიუსტონი ................. 0:1
ჩიკაგო-ნიუ ინგლანდი ................. 3:2
კოლორადო-დალასი ................. 2:1
სან ხოსე-ვანკუვერი ................. 0:0
ჩივასი-პორტლენდი ................. 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

კრუზეირო-ატლეტიკო(პ) ................. 1:0
ფლუმინენსე-პორტუგეზა ................. 2:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ოლდ ბოიზი-ოლიმპო ................. 2:1
ოლ ბოიზი-ქილმესი ................. 4:0
სან ლორენცო-გოდოი ................. 0:0

# ბათუმის კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიან ფილმებს აჩვენებენ

ეკა ირემაშვილი

ბათუმის საავტორო კინოს ფესტივალზე, საკონკურსო და არასაკონკურსო ფილმების ჩვენების გარდა, ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტური იქნება წარმოდგენილი. როგორც კინოფესტივალის ორგანიზატორები განმარტავენ, ეს ამ ორი ორგანიზაციის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. წლევანდელ კინოფესტივალზე ნაჩვენები იქნება ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა, რომელშიც ევროპის კინოაკადემიის საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმები იქნება გაერთიანებული. მის ფარგლებში სხვადასხვა კინოფესტივალზე ნაჩვენებია ევროპის კინოაკადემიაზე ნომინირებული ახალგაზრდა, თანამედროვე ევროპელი რეჟისორების მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექცია.

წლევანდელი კინოფესტივალის პროგრამაშია „ფილმ ლონდონის“ პროექტი „მიკროსქულ ინტერნეშენალ“, რომელიც მხარს უჭერს ნიჭიერ კინემატოგრაფისტებს საერთაშორისო მასშტაბით. საწარმოო სქემის ტრეინინგის ინოვაციური პროგრამა ხორციელდება ბათუმში. ექვსი ქართული ჯგუფი შეირჩევა სამდღიანო პროგრამისთვის, რომელიც ჩატარდება სექტემბერში. ფილმ ლონდონმა ტრეინინგიც გამოაცხადა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის. პროგრამას აფინანსებს დიდი ბრიტანეთის საბჭო. ეს საპილოტე პროგრამა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან და ბათუმის არტ-ჰაუზ ფილმების საერთაშორისო ფესტივალთან პარტნიორობით. მოცემული პროგრამა მოიცავს ინტენსიურ სამდღიან ტრეინინგს კინემატოგრაფისტთა ჯგუფებისთვის და მიზნად ისახავს პროექტების განვითარებას. ტრეინინგში მონაწილეობა ხდება შერჩევის საფუძველზე. ღონისძიებები შედგება სემინარების, მასტერ-კლასების და ინდივიდუალური სესიებისგან. ყურადღება გამახვილებულია ცალკეული პროექტების განვითარებაზე და ფილმების შექმნაზე მცირე ბიუჯეტით. ამ პროექტის მონაწილეები იყვნენ ერან კრივი, რიდლი სკოტი, ბენ დრიუ. ამ პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ რეჟისორისა და პროდიუსერისაგან შემდგარ ჯგუფებს, რომლებსაც უკვე შექმნილი აქვთ კინემატოგრაფიული პროდუქცია და შეუძლიათ პროგრამაში წარადგინონ მხატვრული ფილმის სცენარის საწყისი ვარიანტი. განაცხადის შეტანა საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში დაიგეგმა.

— მოხარული ვარ, რომ ჩვენი ახალი მოდელი შეგვაქვს ახალ ქვეყნებში. მინდა მადლობა გადავუხადო ბრიტანეთის საბჭოს გაწეული მხარდაჭერისთვის. ჩვენი პროგრამის წარმატება ემყარება სქემას, რომელიც მოიცავს ტრეინინგის ელემენტებს. პროგრამის მონაწილეებმა დიდი სარგებლობა მიიღეს მისი კარგად აწყობილი სტრუქტურის წყალობით. პროგრამის შინაარსი გამიზნულია პროექტებსა და შერჩეულ მონაწილეებზე. მოხარული ვარ, რომ ამჟამად ეს პროგრამა დამწყებ უცხოელ კინემატოგრაფისტებს შეუწყობს ხელს. მოუთმენლად ველი ამ საპილოტე პროგრამის შედეგებს, პროგრამის მონაწილეთა ფილმებს და პროგრამის განხორციელებას ახალ ტერიტორიებზე, — განაცხადა „ფილმ ლონდონის“ და ბრიტანეთის კინოკომისიის მთავარმა აღმასრულებელმა ედრიან ვუტონმა.

წელს ამ პროგრამაში მოხვდნენ ფილმები: „სხვისი სახლი“ — პროდიუსერი ზურაბ მაღალაშვილი, სცენარის ავტორი და რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე; „ინტერვალი“ — პროდიუსერები ნინო ჯინჭარაძე, ნიკა გუგუშვილი, სცენარისტი ვაკო კირკიტაძე; „ძილის გაკვეთილები“ — პროდიუსერი რუსუდან პირველი; სცენარისტები ალექსანდრე ჩხაიძე, რუსუდან პირველი; „ცივი ჰაერის სიმხურვალე“ — პროდიუსერი ვლადიმერ კაჭარავა, სცენარისტები ირაკლი სოლომანაშვილი, ბესო სალომანაშვილი; „ხვალ“ — პროდიუსერი, სცენარისტი ქეთი მაჭავარიანი; სცენარისტი ნესტან კვინიკაძე. პროგრამას აფინანსებს დიდი ბრიტანეთის საბჭო. ეს საპილოტე პროგრამა ხორციელდება ფილმ ლონდონის მიერ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან და ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალთან პარტნიორობით. მოცემული პროგრამა მოიცავს ინტენსიურ სამდღიან ტრეინინგს კინემატოგრაფისტთა ჯგუფებისთვის და მიზნად ისახავს პროექტების განვითარებას. ტრეინინგში მონაწილეობა ხდება შერჩევის საფუძველზე. პროგრამა შედგება სემინარების, მასტერ-კლასების და ინდივიდუალური სესიებისგან. ყურადღება გამახვილებულია ცალკეული პროექტების განვითარებაზე და ფილმების შექმნაზე მცირე ბიუჯეტით.

პროგრამა გამიზნულია კინემატოგრაფისტთა ჯგუფებისთვის, რომლებსაც უკვე შექმნილი აქვთ კინემატოგრაფიული პროდუქცია და აქვთ მცირე ბიუჯეტით ფილმის შექმნის პოტენციალი. პროგრამა მოიცავს ფილმის შექმნის მთლიან პროცესს, კონცეფციიდან ეკრანზე გასვლამდე, ასევე იმ პრობლემებს, რომელთა გადალახვაც უწევთ კინემატოგრაფისტებს მცირე ბიუჯეტით მუშაობისას. პროგრამა მოიცავს საკითხთა წყებას — ფილმის ღირებულებათა ჯაჭვი, პროექტის განვითარება, პიტჩინგი და შეფუთვა, საავტორო უფლებების დაცვა და გამოყენება. პროგრამის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ კარგად განვითარებული მხატვრული ფილმის პროექტი. ისინი ბევრ რამეს შეიტყობენ კინოინდუსტრიის შესახებ, შეიძენენ მეტ თავდაჯერებულობას და დაამყარებენ კონტაქტებს, რაც დაეხმარება მათ პროექტების განხორციელებაში. პროგრამა ხელს შეუწყობს საწარმოო სექტორის განვითარებას საქართველოში, მხარს დაუჭერს კინემატოგრაფის ბიზნესის კუთხით განვითარებას და კინემატოგრაფისტებს, რომელთაც აქვთ მათი ფილმების მაყურებლის და ბაზრის მკაფიო ხედვა.

„ფილმ ლონდონი“ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში არსებული კინო და მედია სააგენტოა და მიზნად ისახავს ლონდონის კინოსექტორის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, სასარგებლო იქნება დედაქალაქის ეკონომიკისა და მოსახლეობისთვის. სააგენტო თანამშრომლობს კინოსთან დაკავშირებულ ყველა ინდუსტრიასთან იმ მიზნით, რომ აქციოს ლონდონი საერთაშორისო წარმოებისა და კინოკულტურის დედაქალაქად. ამდენად, სააგენტო ხელს უწყობს ლონდონში მცხოვრებ ახალგაზრდა ნიჭიერ კინემატოგრაფისტებს. „ფილმ ლონდონი“ დააარსეს ლონდონის მერმა და ეროვნულმა ლატარეამ ბრიტანეთის კინოინსტიტუტთან თანამშრომლობით. სააგენტოს მხარს უჭერს ინგლისის ხელოვნების საბჭო. რაც შეეხება „ფილმ ლონდონ მიკროვეივს“, ის უკვე 7 წლისაა. ეს არის ცნობილი სქემა, რომელიც მოიცავს მცირებიუჯეტიან მხატვრულ ფილმებს. მისი მიზანია ლონდონის ნიჭიერი კინემატოგრაფისტების აღმოჩენა და მხარდაჭერა. იგი მხარს უჭერს ნიჭიერ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ ახალი და საინტერესო ისტორიები. სწავლების სქემის მიზანია მხარი დაუჭიროს კინემატოგრაფისტებს, რომლებსაც აქვთ ორიგინალური იდეები, კარგად ჩამოყალიბებული სცენარები და მოკლევადიანი საწარმოო განრიგი. კინემატოგრაფისტებს სთავაზობენ ინტენსიურ ტრეინინგ-პროგრამას სცენარის განვითარებიდან ფილმის ეკრანებზე გამოსვლის ჩათვლით როგორც დიდ ბრიტანეთში ასევე სხვა ქვეყნებშიც.

ბრიტანეთის საბჭო გაერთიანებული სამეფოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების სფეროში. იგი დაარსდა 1934 წელს. ამჟამად ფუნქციონირებს 110 ქვეყნის 216 ქალაქში მსოფლიოს მასშტაბით. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონსა და მანჩესტერში, ასევე აქვს ოფისები ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიასა და უელსში. „ბრიტიშ ქოუნსილ ფილმსი“ ამყარებს კავშირებს დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფისტებსა და საერთაშორისო აუდიტორიას შორის. ბრიტანეთის საბჭოს გლობალურ ქსელთან თანამშრომლობით, იგი წარმოაჩენს ბრიტანული ფილმების ინოვაციას, მრავალფეროვნებას, კრეატიულობას და მნიშვნელოვნებას მთელ მსოფლიოში, ასევე ეძებს შესაძლებლობებს ბრიტანელ კინემატოგრაფისტებსა და უცხოელ კოლეგებს შორის შემოქმედებითი გაცვლა-გამოცვლისთვის. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში ფუნქციონირებს უკვე 20 წელია. მისი საქმიანობა მოიცავს ხელოვნებას, განათლებას, ინგლისური ენის სწავლებას და სასერტიფიკატო გამოცდებს, ქართველი და ბრიტანელი პროფესიონალების და აუდიტორიის დაახლოვებას და სხვა საქმიანობას.

# ექვთიმე თაყაიშვილის იუბილე თბილისში აღინიშნება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფოებრიობის აღდგენისთვის ემზადებოდა, დიდი მეცნიერი პოლიტიკურ პროცესებშიც აქტიურად ჩაება, სხვებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე გახდა. ექვთიმე თაყაიშვილი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში დაფასებული მოღვაწეა. სწორედ ამის დასტურია ის, რომ 2013 წელი იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ საიუბილეო თარიღს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნავენ. სწორედ ასეთი კაცი, მისი ცხოვრების წესი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავგანწირვა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა იქცა ზნეობის მაგალითად თანამედროვე ქართველებისთვის, რომელიც ღრმად მწამს, ასწლეულებს გაუძლებს.

**მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი:**

— ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნება საქართველოში კარგად მახსოვს. იგი დიდი პატივით მიიღეს. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, რომელსაც აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ხელმძღვანელობდა ჩაიბარა პარიზიდან ჩამოტანილი ეროვნული საუნჯე. მალე ექვთიმე თაყაიშვილი პროფესორად აირჩიეს, მოგვიანებით — მეცნიერებათა აკადემიისა წევრად. 1946 თუ 47 წელი იყო აკადემიაში უნდა მოგვესმინა ბატონი ექვთიმეს მოხსენება, მაგრამ იგი ვერ შედგა, რადგან დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი. მოგვიანებით მოხსენება უნივერსიტეტში მოვისმინეთ. უამრავი ხალხი მოაწყდა ცოდნის ტაძარს. მალე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ვფიქრობ, ჩემი სუბიექტური აზრია, სიმონ ჯანაშია ცოცხალი რომ ყოფილიყო ასეთი მასშტაბებით ბრძოლას ბატონი ექვთიმეს წინააღმდეგ ვერ გაბედავდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა. მაშინ გავრცელდა ხმა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, სასოწარკვეთილი მეცნიერი საკაცით მიიყვანეს უშიშროების კომიტეტში დაკითხვაზე. ახალგაზრდა მეცნიერებმა გადავწყვიტეთ პანაშვიდზე წასვლა. უნივერსიტეტში გაგვაფრთხილეს, რომ დაკრძალვას არ დავსწრებოდით, მაგრამ ამ გაფრთხილებამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაკრძალვაზე დასწრების სურვილი. 1953 წლის თებერვალი იდგა. საშინლად ციოდა. მეგობრებთან, ცნობილ არქეოლოგებთან ოთარ ჯაფარიძესთან, გივი კიღურაძესთან, ტარიელ ჩუბინიშვილთან ერთად ვიდექი. მოვიდნენ გრძელ, შავ პალტოებში ჩაცმულები და გაგვაფრთხილეს, სასაფლაომდე არ მიგვეცილებინა. გავღიზიანდით და ვაკის სასაფლაომდე გავაგრძელეთ გზა. პირადად არ დამითვლია, მაგრამ ოთარ ჯაფარიძემ გვითხრა, ექვთიმე თაყაიშვილი 48 კაცმა გააცილა უკანასკნელ გზაზე. ჩემი მეხსიერება დღემდე ინახავს შთამბეჭდავ სიტყვებს, რომლითაც საფლავთან მიმართეს ბატონ ექვთიმეს ქალბატონმა ქრისტინე შარაშიძემ, ბატონმა აკაკი შანიძემ. ბატონ აკაკის ხელში ექვთიმე თაყაიშვილის წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი ეჭირა: „ძმაო, ექვთიმე, შენ არ გჭირდება ძეგლი, შენი ძეგლი შენი ცხოვრება და შენი წიგნებია. გული მტკივა, რომ ეს წიგნი სიცოცხლეში ვერ გაჩუქეო“. გვეგონა მათ დააპატიმრებდნენ, ეს მაშინ გმირობის ტოლფასი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, სტალინი ავადმყოფობდა და ამისთვის აღარავის ეცალა. დრო შეიცვალა. ცნობილმა ენათმეცნიერმა იოსებ მეგრელიძემ, რომელსაც ბოლო წლებში ექვთიმე თაყაიშვილთან კონტაქტი არ შეუწყვეტია, გაახმოვანა ექვთიმეს ანდერძი, რომ მას სურდა დიდების პანთეონში დაკრძალვა და მის გვერდით მეუღლის — ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენება. ანდერძი არ მინახავს. არც ის ვიცი, იგი წერილობითი იყო თუ ზეპირი. მაგრამ იგი აღსრულდა. შემდეგ დაიბადა აზრი, რომ ბატონი ექვთიმე მთაწმინდაზე გადაესვენებინათ და განხორციელდა კიდეც. ამ დიდ, ამაღელვებელ განწყობილებას პირადად ვესწრებოდი და სიტყვითაც გამოვედი.

სპორტი

# „ტორპედო“ გალიდერდა, „სპარტაკი“ უქულოდ დარჩა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მარტვილელებთან სტუმრად თამაში რთული რომ არის, წინა ჩემპიონატებმაც დაამტკიცა, თუმცა გუნდი წელს საშინაო მატჩებს სამტრედიაში ატარებს და იქას „მასპინძლის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავად მატჩი კი, უხვგოლიანი გამოდგა და მაყურებელს მოსაწყენად არ ეცალა. „ჩიხურამ“ ამ მარცხით ლიდერობა დათმო.

**სიონი — ვიტ ჯორჯია 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ახალაია (6), 1:1 ღიბრაძე (80)

**სიონი:** მერლანი, ტვილდიანი, თოთაძე, ქემოკლიძე, გოგობერიშვილი, ცხადაია, პარუნაშვილი, აფციაური (განუგრავა 58), ბიბილეიშვილი, უგულავა (მიკუჩაძე 81), ახალაია (ლობჟანიძე 61)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, მჭედლიშვილი, გეთიაშვილი, კასრაძე, ჯავახიშვილი, წყაროზია (ღიბრაძე 72), დავლაშელიძე, კორიფაძე, ჯანელიძე, სიჭინავა (პავლიაშვილი 56), კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 69)

**გაძევება:** თოთაძე (90)

სპეციალისტთა უმრავლესობა ბოლნისელთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ვეტერინარებმა დაამტკიცეს, რომ მებრძოლი გუნდის და მატჩის დასაწყისში გაშვებულ გოლოს მიწურულში უპასუხეს.

**მეტალურგი — სპარტაკი 1:0**

**რუსთავი. ფოლადი**

1:0 ბერიაშვილი (19)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, მახვილაძე, ორბელაძე, სუხიაშვილი, კაკუბავა, კორღალიძე (ფიფია 59), გურამ გურეშიძე (ქავთარაძე 59), რაზმაძე, გეწაძე, კირკიტაძე, ბერიაშვილი

**სპარტაკი:** ნანიევი, ჭაფოძე, ქურდაძე, კილასონია, კონსტანტინე ხიზანეიშვილი, ბურძენაძე, კვეკვესკირი, ჩაფიძე (კაკაშვილი 82), თუხარელი, მეტრეველი, ფანცხავა (მაქაცარია 69)

„სპარტაკი“ ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც ქულა არ აუღია. ერთია, ცხინვალელები მატჩის შემდეგ უკმაყოფილებას გამოთქვავდნენ არდანიშნული პენალტის გამო, მაგრამ ეს მათ მდგომარეობას ვერ ცვლის.

გამარჯვების გოლი კი გიორგი ბერიაშვილის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| 2.ჩიხურა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 9 |
| 3.მერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| 5.მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:6 | 8 |
| 6.დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| 7.სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| 8.დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| 9.გურია | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| 10.ზესტაფონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| 11.ზუგდიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| 12.სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |

**ბომბარდირები:** გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა), ლადო ახალაია (სიონი) — 3-3 ბურთი.

# კროსვორდი



1. დასვენების დღე; 2. ასო „ტ“-ს სახელწოდება; 3. ერთად მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფი; 4. ზაფხულის თვე; 5. რომელიმე დაწესებულების თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა; 6. შორეული წარსულის რაიმე გადმონაშთი; 7. აქილევსის ...; 8. იგივეა, რაც ცთომილი; 9. ჰერას ქურუმი ქალი; 10. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 11. თეთრი თხევადი საკვები; 12. სითბოს მუდმივობის დროს მიმდინარე ფიზიკური პროცესის შესაბამისი გრაფიკი; 13. ძველრუსული ოქროს ფული; 14. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 15. ზოდიაქოს ნიშანი; 16. ბატონი (ინგლისურად); 17. იუპიტერი ძველ ქართულად; 18. კენძაბურო ... (მწერალი); 19. მცენარეული შხამი; 20. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 21. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 22. იგივეა, რაც ბელღარი; 23. მხარე დასავლეთ საქართველოში; 24. შეგირდი, ..., ოსტატი; 25. კულტის მსახური წარმართებში; 26. ძველებური პატრუქიანი თოფი; 27. ავადმყოფობის შესუსტება ან გაქრობა; 28. კავშირი (გრამატ.); 29. სკანდინავიელთა უმაღლესი ღვთაება; 30. პურეული მცენარე; 31. ედემი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. როტვეილერი; 2. მარუხი; 3. ტავერნა; 4. რაცია; 5. ფასკუნჯი; 6. ფორდი; 7. ჰამსუნი; 9. გუჯარი; 13. ტონგა; 17. ნუგა; 18. არა.

**თარაზულად:** 1. რეზიუმე; 3. ტუბერი; 8. პაგოდა; 10. გურიელი; 11. მენჯი; 12. ხარფუხი; 14. ფლირტი; 15. პლატონი; 16. ჯანღი; 19. ბოგოტა; 20. ჭიდაობა; 21. დოლარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყანდარელი; 2. პუდრეტი; 3. შირაზი; 4. შარკო; 5. გლაზგო; 11. ხუტორი; 12. მადერა; 14. ბივა; 16. პასტიჩო; 17. პრიკაზი; 19. სიმენსი; 21. მარსი; 22. აჟანი.

**თარაზულდ:** 6. ხაჭაპური; 7. ყვარელი; 8. კენზო; 9. ჯამილე; 10. ზესხო; 13. ალიბი; 15. იპოქონდრია; 18. ტიგრისი; 20 რემა; 23. კოპაკაბანა; 24. ზაჰესი.

# მაკკეინი პუტინს უპასუხებს

ცნობილი ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი პუტინის საპასუხო სტატიას რუსულ „პრავდა“-ში გამოაქვეყნებს. როგორც ცნობილი გახდა, მაკკეინმა ინტერვიუ ამერიკულ გამოცემა „ფორინ პოლისს“ მისცა, სადაც განაცხადა, რომ სიამოვნებით მისცემდა რუსულ გაზეთს ინტერვიუს. მან გააკრიტიკა რუსეთში არსებული მდგომარეობა პრესისა და მედიის თავისუფლების მხრივ.



ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ მაკკეინს რუსული „პრავდის“ ინგლისურენოვანი გამოცემის რედაქტორმა დმიტრი სუდაკოვმა განაცხადა, რომ ის და მისი გაზეთი სიამოვნებით გამოაქვეყნებდა ისეთი წარმატებული ამერიკელი პოლიტიკოსის სტატიას, როგორიც ჯონ მაკკეინია. ამასთან ერთად, სუდაკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის პრესა დამოუკიდებელია და მაკკეინს არ აქვს რუსეთის არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია.

შეთავაზებას სენატორი დათანხმდა და განაცხადა, რომ მასალას რუსულ და ინგლისურ ენებზე „პრავდის“ რედაქციაში არაუგვიანეს 18 სექტემბერს გააგზავნის.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ამერიკულ გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოაქვეყნა ამერიკელი ხალხისადმი მიმართვა სირიის შესახებ, სადაც პრეზიდენტი ცდილობს ამერიკელი ხალხი სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების „უგუნურობაში“ დაარწმუნოს.

მიმართვის დასაწყისში პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ეს ფორმა „ჩვენს საზოგადოებებს შორის არასაკმარისი კომუნიკაციის გამო“ აირჩია.

პრეზიდენტს არც ისტორიის გახსენება დავიწყებია და ცივი ომის დროსა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზესახელმწიფოების ურთიერთობაზეც გაამახვილა ყურადღება. ასევე, აღნიშნა რომ დიდი სურვილი აქვს გაერომ ერთა ლიგას ბედი არ გაიზიაროს.

ეს კი პრეზიდენტის აზრით, სრულიად შესაძლებელია მოხდეს, თუ სირიაზე სამხედრო დარტყმა უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე მოხდება. შეგახსენებთ, რომ უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი ჩინეთი და რუსეთის სირიის რეჟიმის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას ბლოკავენ.

პუტინის აზრით, სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევა ძალადობის გამწვავებას შეუწყობს ხელს და ტერორიზმის ახალ ტალღას გააძლიერებს. პრეზიდენტი ამერიკას იმაზეც აფრთხილებს, რომ სირიაზე პოტენციური დარტყმის შემთხვევაში სირიის კონფლიქტი ქვეყნის საზღვრებს გასცდება. „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში პუტინი ასევე წერს, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით ეჭვი არავის ეპარება, თუმცა მას აქვს მიზეზი ივარაუდოს, რომ ეს ოპოზიციამ მოაწყო, რათა კონფლიქტში დასავლეთის ქვეყნები ჩარეულიყვნენ. პრეზიდენტს ერაყის, ავღანეთის, ლიბიის შემთხვევაში დასავლეთის ძალების ჩარევის მაგალითები მოჰყავს, სადაც, მისი აზრით, უცხოეთის ჯარების შეყვანა „უაზრობა“ იყო.

პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ თუ სირიის კონფლიქტში ჩარევა არ მოხდება, ეს საერთაშორისო ურთიერთობების ატმოსფეროსაც გააუმჯობესებს და ამ ორი ქვეყნის ურთიერთნდობასაც.

პუტინის ამ წერილს თეთრი სახლის წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ, რომლებმაც აღნიშნულს „სრულიად შეუსაბამო“ უწოდეს.

# „ბი-ბი-სი“ — აშშ სირიაში სამხედრო ინტერვენციაზე უარს იტყვის

აშშ უარს იტყვის სირიაში სამხედრო ინტერვენციაზე, მიუხედავად გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუციისა. ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-მ ეს გადაწყვეტილება რუსეთის მხრიდან მკვეთრი წინააღმდეგობის შედეგად მიიღო.

ამერიკელი და რუსი დიპლომატების განცხადებით, ჟენევაში მიმდინარე ორმხრივი მოლაპარაკებები სირიის ქიმიური იარაღის თაობაზე მხარეებს შორის შეთანხმებით სრულდება.

ამასთან, დღესვე გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან გი მუნმა განაცხადა, რომ მომავალ კვირას გაერო გამოაქვეყნებს დადასტურებულ დასკვნას, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება მოხდა.

ამასთან, ბან გი მუნს არ დაუკონკრეტებია, კერძოდ, რომელი მხარე არის დამნაშავე 21 აგვისტოს დამასკოში განხორციელებულ ქიმიურ შეტევაში, რადგან მისივე განმარტებით, ეს არ შედიოდა გაერო-ს ინსპექტორთა მოვალეობაში.

თუმცა, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი დამნაშავეა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში.

„დარწმუნებული ვარ, როცა ყველაფერი გაირკვევა, დამნაშავეს მოუწევს პასუხისგება“, — განაცხადა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა.

აშშ და რუსეთი სირიის ქიმიური იარაღის განადგურებაზე შეთანხმდნენ. „ბიბისის“ ცნობით, ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.



მათ ორი ქვეყნის მიერ შეთანხმებული 6-პუნქტიანი გეგმა წარმოადგინეს, რომლის თანახმადაც, სირიის ხელისუფლებამ კვირის განმავლობაში ქიმიური იარაღის მარაგების სრული სია უნდა წარმოადგინოს. ეს მარაგები ლიკვიდირებული იქნება. თუ დამასკო ამ პირობას არ დააკმაყოფილებს, გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია, მიიღოს რეზოლუცია, რომლითაც სირიას დასჯით დაემუქრება.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ პრობლემა მხოლოდ პოლიტიკური გზით უნდა მოგვარდეს, რომელიც სირიაზე დარტყმის განხორციელების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, კვირის განმავლობაში სირიის ქიმიური იარაღის არსენალი უნდა შეფასდეს და მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხდეს მისი განადგურება. გარდა ამისა, რუსეთი და აშშ მზად არიან, სირიის ქიმიური იარაღის 2014 წლის შუა პერიოდში განადგურებას მიაღწიონ და ამ ვადებში იარაღი ან უნდა განადგურდეს ან, უკიდურეს შემთხვევაში, სირიის ტერიტორიიდან იქნეს გატანილი.

აღსანიშნავია, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის ჟენევაში მიღწეულ შეთანხმებას ქიმიური იარაღის განადგურებაზე ჩინეთიც ეთანხმება.

ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის შეფასებით, „აღნიშნული გადაწყვეტილება სირიაში დაძაბულობის მოხსნას შეუწყობს ხელს“.

სირიაში ქიმიური იარაღი ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის ფარგლებში განადგურდება, რომელსაც დამასკო შეუერთდა. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა დაადასტურა, რომ სირია შეთანხმებას შეუერთდა.

გაეროს ინსპექტორების მოხსენებამ დაადასტურა ინფორმაცია 21 აგვისტოს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. შესაბამისი განცხადება გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა გააკეთა.

გაეროს ინსპექტორების მოხსენება, სავარაუდოდ, 16 სექტემბერს გამოქვეყნდება.

სირიის არმიის ელიტურმა დანაყოფმა, რომელიც ქიმიური იარაღის შენახვის სამთავრობო პროგრამას კურირებს, რუსეთის გეგმის რეალიზაციის წინ, ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ გადაცემის შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ათობით ბაზაზე ეს იარაღი გადაანაწილა.

„პოტენციურად ამ მოქმედებამ თუ ის დადასტურდა, შესაძლებელია ქიმიური იარაღის გადამალვის გეგმას შეუწყოს ხელი და ასევე ხელი შეუშალოს აშშ-ს იმ შემთხვევაში, თუ ამერიკული ადმინისტრაცია მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას სირიის დაბომბვის შესახებ“, — წერს გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნალი“.

გამოცემა ამერიკელ მაღალჩინოსან წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ ელიტური საიდუმლო დანაყოფის მისიას კოდური სახელწოდება „უნიტ 450“– აქვს. აშშ-ს სადაზვერვო მონაცემებით, ადრე სირიაში ქიმიური იარაღი სულ რამდენიმე ობიექტზე ინახებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტის რიტორიკა სულ უფრო და უფრო მკაცრი გახდა, დაიწყო არსენალების აქტიური დისლოცირება.

ვაშინგტონის მონაცემებით დამასკოს 1000 ტონა მომწამვლელი, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერება აქვს და, არ არის გამორიცხული, რომ ქიმიური იარაღის რაოდენობა გაცილებით მეტი იყოს.

# ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამ უკრაინა გააერთიანა

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამ, რომელსაც ვილნიუსის ნოემბრის სამიტზე გავაფორმებთ, უკრაინის ხელისუფლება, ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება გააერთიანა, — ასეთი განცხადება გააკეთა ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანდრეი ოლეფიროვმა.

დიპლომატმა დაადასტურა, რომ უკრაინა შეთანხმების გაფორმების მოლოდინშია და ამისთვის მან მრავალწლიანი რეფორმები განახორციელა.

განცხადება გაკეთდა ერევანში მიმდინარე კონფერენციაზე, რომელიც ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამას ეძღვნება და მასში, საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრები და მათი მოადგილეები მონაწილეობენ.

ამავე სამიტზე ევროინტეგრაციის ურყევი სურვილი დაადასტურა მოლდოვამაც. ევროინტეგრაცია მოლდოვასათვის წარმოადგენს ქვეყნის მოდერნიზების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს. მისი მეშვეობით გაიზრდება მოქალაქეთა კეთილდღეობა და უსაფრთხოება. ყველა ზეწოლის მიუხედავად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, არჩევანი გავაკეთეთ და არ ვაპირებთ ამ გზიდან გადახვევას, — ამის შესახებ მოლდოვის ევროინტეგრაციის მინისტრმა ნატალია გერმანმა განაცხადა. მინისტრმა ასევე დაადასტურა, რომ მოლდოვა ვილნიუსის სამიტზე გააფორმებს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

„ეხო კავკაზას“ ცნობით, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ განაცხადა, რომ სომხეთსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერა გამორიცხულია, თუ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმება არ დაიდო. ამასთან, ფულემ აღნიშნა, რომ ევროკავშირი პარტნიორების სუვერენულ გადაწყვეტილებას პატივს სცემს. მისი თქმით, ისინი თავისუფლად ირჩევენ ინტეგრაციისა და თანამშრომლობის იმ ფორმას, რომლის მიყოლაც სურთ.

„ევროკავშირის პოზიცია შემდგომში მდგომარეობს—პოლიტიკური ასოციაცია და ეკონომიკურ ინტეგრაცია ერთად უნდა ხდებოდეს და ისინი ასოციაციის შესახებ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ამის გამო ჩვენ ამ ორი მნიშვნელოვანი შეთანხმების გახლეჩა არ შეგვიძლია“, — განაცხადა ევროკომისარმა.

მისი თქმით, ევროკავშირმა წინასწარ არ იცოდა, რომ სომხეთს ევროკავშირთან ერთად საბაჟო კავშირში გაწევრიანებაც სურდა: „ევროკავშირს ამის შესახებ მხოლოდ 31 აგვისტოს აცნობეს. ივლისში ერევანში ჩემი ვიზიტისას ამ საკითხის შესახებ არ გვიმსჯელია“, — აღნიშნა ფულემ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ კრემლში სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების სერჟ სარქისიანისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრისას ცნობილი გახდა, რომ სომხეთი საბაჟო კავშირში აპირებს გაწევრიანებას.

რუსეთმა დაიწყო შანტაჟისა და მუქარის ფართომასშტაბიანი კამპანია მოლდოვისა და უკრაინის წინააღმდეგ, რათა ჩაშალოს ამ ქვეყნების მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებების გაფორმება. რუსეთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან კატეგორიულად ითხოვს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას. რუსეთმა უკვე აკრძალა მოლდოვური ღვინოები და უკრაინული კანფეტები, მოლდოვას დაემუქრა დაშლით და ზამთარში სიცივისაგან გაყინვით, უკრაინული ტვირთის იმპორტს საზღვარზე პრობლემები შეუქმნა რითაც 3-მილიარდდოლარიანი ზარალი მიაყენა უკრაინის ეკონომიკას. პუტინმა ღიად განაცხადა, რომ თუ ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან შეთანხმება გაფორმდება რუსეთი უკრაინასა და მოლდოვას პარტნიორების სიიდან ამოშლის და ეს მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ. როგორც ჩანს, მსგავსი ზეწოლა სომხეთისთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა და ის ევრაზიის კავშირში გაწევრიანებაზე დათანხმდა.

მოამზადა
გერა მამულაშვილმა

# დოკუმენტური ფილმების ციკლი „ლეგენდა“ ივანე მაჩაბლის ბედისწერით დასრულდა

ამ ცოტა ხნის წინათ ტელეკომპანია „GDS“-მა დოკუმენტური ფილმების ციკლით — „ლეგენდა“ — მაყურებელს მორიგი ფილმი შესთავაზა მე-19 საუკუნის გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე ივანე მაჩაბელზე. მასში ამ მრავალმხრივი პიროვნების, ლიტერატორის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, რედაქტორის, ბანკირის უგზოუკვლოდ გაუჩინარების ამბავია მოთხრობილი. გადაცემაში მიწვეული სტუმარი — მწერალი და მეცნიერი, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე მაყურებელს მოუთხრობს იმ ვერსიებზე, რომლებიც ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან ერთად საზოგადოებაში გავრცელდა. დოკუმენტურ ფილმში ივანე მაჩაბლის ცხოვრების ამსახველი სცენებიც არის დადგმული, რაც ფილმს კიდევ უფრო საინტერესო სანახავს ხდის.

როგორც „მედიანიუსს“ დოკუმენტური ფილმების სერია „ლეგენდის“ პროდიუსერმა პაპუნა ჭელიძემ განუცხადა, ციკლი აღნიშნული ფილმით დასრულდა. დოკუმენტური ფილმების სერიითვე „GDS“-ზე სატელევიზიო სეზონიც დამთავრდა. მისი ინფორმაციით, ასეთი ფილმების შექმნის იდეა თავად ტელეკომპანიას ეკუთვნის. სულ გადაღებულია 22 ფილმი. პროექტი 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 2013 წლის ივნისამდე გრძელდებოდა.

„ლეგენდის“ მომზადების იდეა ტელეკომპანია „GDS“— ის დაარსებისთანავე არსებობდა. არის უამრავი საინტერესო ისტორია, საზოგადოებისათვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი. სწორედ ამიტომაც მათზე დოკუმენტური ფილმების მომზადება გადაწყდა. ფილმები თავდაპირველად პარანორმალურ მოვლენებზე იქმნებოდა. ბოლოს კი მისტიკური ამბებიდან ისტორიულზე გადავედით. ისტორიულია ილია ჭავჭავაძისა და დაგნი იუველის მკვლელობათა შესახებ გადაღებული ფილმები. რაც შეეხება უშუალოდ ივანე მაჩაბელს, მასზე ცნობები გარკვეული წყაროებიდან მოვიძიეთ. გავეცანით მის თანამედროვეთა ჩანაწერებს. ასევე გვქონდა ინფორმაცია, რომ ამ საკითხში ყველაზე გათვითცნობიერებული პირი ბატონი როსტომ ჩხეიძეა, რომელსაც მივმართეთ კიდეც“, — აღნიშნა პაპუნა ჭელიძემ.

პროდიუსერის თქმით, ივანე მაჩაბლის ამბავი მან გარკვეულწილად აქამდეც იცოდა. ფილმის მომზადებისას კი მისთვის ყველაზე საინტერესო ის ვერსია აღმოჩნდა, რაც ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე როსტომ ჩხეიძისაგან მოისმინა.

„ეს ვერსია სინამდვილესთან ყველაზე ახლოს დგას. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ეს ყველაზე სარწმუნო ვერსია აღმოჩნდა“, — აღნიშნა პაპუნა ჭელიძემ.

მისი შეფასებით, „ლეგენდა“ ერთ-ერთი რეიტინგული დოკუმენტური ფილმების სერია გამოდგა.

„მედიანიუსის“ შეკითხვის პასუხად როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა შემოქმედებითი ჯგუფმა თავისი ენთუზიაზმითა და პროფესიონალიზმით, გადაცემის კომპოზიციური დახვეწილობით. განსაკუთრებით მოიხსენია „ლეგენდის“ წამყვანის, უკვე ცნობილი მსახიობის, თორნიკე გოგრიჭიანის უნარი, ამომწურავი ყოფილიყო ყველაფერი ამ ტრაგიკულ პიროვნებაზეც და ეპოქაზეც.

„მედიანიუსი“ იმითაც დაინტერესდა, დოკუმენტური ფილმების ციკლის გაგრძელების შემთხვევაში კიდევ რომელ ისტორიულ ამბავზე შეაჩერებდა არჩევანს მისი პროდიუსერი. როგორც პაპუნა ჭელიძე აცხადებს, იგი ფილმს პაოლო იაშვილზე მოამზადებდა. „ფაქტია, რომ თვითმკვლელობა მოხდა. მისი თვითმკვლელობის ადგილის, ეპოქისა და გარემოების შესახებ, რამაც პოეტი ამ ნაბიჯის გადადგმისკენ აიძულა, ყველამ იცის. მაგრამ საზოგადოებას ამაზე ზედაპირული წარმოდგენა აქვს. ვფიქრობ, ამ ფაქტის ჩაღრმავება მეტად საინტერესო იქნებოდა“, — აღნიშნა პაპუნა ჭელიძემ.

მედიანიუსი

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 16 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "ღვინო" **09.00" 10.00" 12.00" 16.00" 19.00" 20.00** "მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ **"თაღლითი სამოთხეში"** **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **16.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **18.20** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **01.40** დ/ფ "კატასტროფა ანდებში"

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ტოკიო" **09.00** მხ/ფ **"ოუშენის 11 მეგობარი"** (ბ.პიტი) **11.00, 16.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"**. **12.00** მხ/ფ **"ოუშენის 12 მეგობარი"** (ე.გარსია) **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **1** სერ. **20.50** სერ. ,,**სილა**'' **1** სერია **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა– პოლიტიკის დრო (პ/ე) **22.00** იურმალა (გ/ჩ) **23.30** მხ/ფ ,,**სასაცილო ფული**''

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო - დაწყება **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ. **"ტიტების დრო"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"მეტიჩარა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"გიორგობის თვე"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ "გზა" I სერ. **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - **"ბედი ქართლისა"** **16.15** კონცერტი - ჯანო ბაგრატიონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.45** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"განაჩენი"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ბაკულას ღორები"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** I ნაწ. **02.00** ირაო

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.00, 4.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.30, 9.15** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.50, 15.00, 17.30, 1.15, 3.30, 6.15** ფარული კამერა **17.45 21.30, 0.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 1.30, 4.00** "კინო მასტროზე"

პროგრამები იბეჭდება საგაზეთო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6563

ევრო — 2,2011

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6194

100 რუსული რუბლი — 5,0589

## ამინდის პროგნოზი 16 სექტემბრისთვის





## 17 სექტემბრიდან

## „შავი ვარდი“




„ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები






მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## ჯანყი კალათბურთში — პრეზიდენტი მინისტრს ადანაშაულებს

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატს კი გამოეთიშა, მაგრამ მთავარი ბრძოლა ქართულ კალათბურთში დაიწყო. უფრო სწორად, გაგრძელდა, რადგან დაპირისპირება კალათბურთის ფედერაციასა და მის ოპონენტებს შორის მანამდეც ცნობილი იყო.

ნაკრების გამოსვლა კალათბურთის ფედერაციაში შეფასდა. ეროვნული გუნდის შედეგები ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა და



მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა შეაფასეს.

სანაკრებო თემიდან ჟურნალისტებთან შეხვედრა იმ საკითხებზე გადავიდა, რომლებიც დღესდღეობით აქტუალურია და რომელიც კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. ჟურნალისტები დაინტერესებულნი იყვნენ იმ თემით, რომელზეც ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა პირველი არხის გადაცემა „არენაში“ ისაუბრა.

კერძოდ ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ კალათბურთის ფედერაციის მომავალ არჩევნებში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, კერძოდ კი მინისტრი ლევან ყიფიანი ერთ-ერთ კანდიდატ მიხეილ ახვლედიანს ლობირებს.

ის რაც გადაცემა „არენაში“ ისაუბრა, ლიპარტელიანმა ფედერაციაში გამართულ ბრიფინგზე განავრცო. თავდაპირველად ლიპარტელიანის შეფასებას შემოგთავაზებთ ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით:

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2013 წლის ევრობასკეტზე ასპარეზობა დაასრულა. შედეგი შეიძლება ძალიან კარგი არ ყოფილა, თუმცა ნაკრების წლევანდელი შესაძლებლობების გათვალისწინებით დამაკმაყოფილებლად ჩავთვლით. გვაკლდა ორი წამყვანი კალათბურთელი — ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია. მიუხედავად დანაკლისისა, ბიჭებმა ყველა მატჩში ბოლომდე იბრძოლეს და თითოეულ თამაშზე მაქსიმუმი გააკეთეს. სამწუხაროდ, ჯგუფიდან ვერ გავედით და წინა ევრობასკეტის შედეგი ვერ გავიმეორეთ, თუმცა შანსები დიდი გვქონდა. პირველი თამაში ბიჭებმა იდეალურად ჩაატარეს, გავიმარჯვეთ და 12-ვე კალათბურთელს მიეცა თავის გამოჩენის შანსი. ხორვატიასთან დაძაბულ ბრძოლაში დავმარცხდით, ფორტუნა რომ ჩვენს მხარეს ყოფილიყო, მოვიგებდით კიდეც. ხორვატია ძალიან ძლიერი ნაკრებია და საუკეთესო 3 გუნდს შორის შესვლაც შეუძლია. დასვენების დღის შემდეგ ბიჭებმა ძალები მოიკრიბეს და სლოვენიასთან არაჩვეულებრივად ითამაშეს, პირდაპირ ვიტყვი, ეს თამაში მოგებული იყო და მიკერძოებულმა მსაჯობამ წაგვაგებინა. ერთადერთი ჩავარდნა ჩეხეთთან გვქონდა, ფიზიკურად ბიჭები ძალიან გადაიღალნენ, ფაქტობრივად, მთელმა ჩემპიონატმა 5 მოთამაშეზე გადაიარა. პიკმანმა ფეხი 2-ჯერ გადაიბრუნა და თან, გაციებული იყო, მანუ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## თბილისის ბიგ ბენდი უფასო კონცერტებს ჩაატარებს

ეკა ირემაშვილი

თბილისის ბიგ ბენდი უმაღლეს სასწავლებლებში ახალი სასწავლო წლის დაწყებას სტუდენტებს უფასო კონცერტებით მიულოცავს. როგორც ბიგ ბენდის ხელმძღვანელი და დამაარსებელი გაიოზ კანდელაკი აღნიშნავს, პირველი კონცერტი 16 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება. მომდევნო დღეებში კი ბიგ ბენდი თეატრალურ უნივერსიტეტში, სამედიცინო უნივერსიტეტში, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუკრავს. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს ორკესტრის რვავე მომღერალი, რომლებიც შეკრებილ სტუდენტებს ახალ საკონცერტო პროგრამას წარუდგენენ.

**გაიოზ კანდელაკი, თბილისი ბიგ ბენდის ხელმძღვანელი:**

— გრაფიკი უკვე გაწერილი გვაქვს და ვიწყებთ საკონცერტო სერიებს. ჩვენი დევიზია, ყველაფერი საუკეთესო ჩვენს სტუდენტებს. ეს არის ჩვენი საკონცერტო ტურნე თბილისის უნივერსიტეტებში, თუ სხვა უნივერსიტეტებიც გამოგვეხმაურებიან მათთანაც სიამოვნებით მივალთ.

***— რომელ უნივერსიტეტში იწყებთ საკონცერტო ტურნეს?***

— 16 სექტემბერს გვაქვს პირველი კონცერტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 17 სექტემბერს დავუკრავთ გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში ლოტკინის მთაზე, 18 სექტემბერს კონცერტი გვაქვს სამედიცინო ინსტიტუტში, 19 სექტემბერს თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ეზოში ალმაშენებლის გამზირზე, 23 სექტემბერს დავუკრავთ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. ჯერჯერობით 5 კონცერტი გვაქვს. თუკი სხვა უნივერსიტეტებსაც ექნებათ სურვილი, სიამოვნებით მივალთ და უფასოდ დავუკრავთ. ჩვენი კონცერტები უმაღლეს სასწავლებლებში ყოველ წელს ტარდება და არასდროს დაგვეზარება ჩვენი მომავალი თაობისთვის დაკვრა და სიმღერა.

***— როგორია საკონცერტო პროგრამა?***

— პროგრამა განვაახლეთ, ახალი ნომრებიც გვექნება, თან პირველკურსელები ხომ ახლები არიან, კარგია მათ რომ ასეთი საჩუქარი ექნებათ და პირველი დღეს გემოვნებიანი მუსიკით დაიწყებენ. კონცერტებში მთელი ორკესტრი იღებს მონაწილეობას 8 მომღერლით. ეს არის ჩვენი საჩუქარი და ეს მათთვის კარგი სტიმული იქნება. ისეთ ცხრილებს აძლევენ ბავშვებს, ეშინიათ ხოლმე და როცა მუსიკით დახვდები, მათთვის ეს დადებითი მუხტია. ეს აპრობირებული თემაა ევროპულ ქვეყნებში.

***— ზაფხულში დაისვენეთ თუ საგასტროლო ტურნეები გქონდათ?***

— აგვისტოში დავისვენეთ, იმიტომ რომ მანამდე 30-მდე კონცერტი ჩავატარეთ და გადავიღალეთ. დასასვენებელ პარკებში ვუკრავდით, სტუდენტებისთვის ვუკრავდით, „საბაც“ ჩავატარეთ, რამდენიმე კორპორატიული ღონისძიებაც იყო. სავარაუდოდ ოქტომბერში რუსთავშიც გვექნება კონცერტი.

***— უცხოეთში არ აპირებთ გასვლას?***

— რა თქმა უნდა, აუცილებლად. ჩვენ გასვლითი კონცერტები გვექნება მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ მათი თქმა წინასწარ არ მინდა. ვემზადებით აქტიურად, რადგან მიწვევები ბევრი გვაქვს. მომავალი წლის მაისში გვექნება გასვლა.

გვაქვს კიდევ ერთი სერიოზული პროექტი, რომელიც გავუგზავნე კულტურის მინისტრს. მივიღე თანხმობა, რომ ჩატარდეს უმაღლესი დონის ერთობლივი კონცერტი, „ნიუ იორკ ვოისმა“ გამოთქვა სურვილი ჩამოვიდეს საქართველოში და ჩვენს ბიგ ბენდთან ერთად მარტის ბოლოს ჩატარდეს კონცერტი. მთავარია ახლა გადავწყვიტოთ ფინანსური საკითხი. წერილი ამ პროექტთან დაკავშირებით ბატონ გურამ ოდიშარიას გავუგზავნეთ. ეს არის უმაღლესი დონის პროექტი, ასეთი რამეები ადვილად არ კეთდება. ეს არის ქართული საქმე — ქართული ორკესტრი და ამერიკის უზარმაზარი ვარსკვლავები ერთად. „ნიუ იორკ ვოისი“ რომ ჩამოვა, რვა მომღერალს აიყვანენ და ერთი დღე მთლიანად იქნება მასტერ კლასი. ამ კონცერტზე პირველიორი რიგი გვინდა ჩავწიოთ ფილარმონიაში და სტუდენტობა, ვინც ვოკალზე სწავლობს და მაღალი დონეა, ვინც გაიმარჯვა „ჯეოსტარია“ და თუ „ახალი ხმა“, გვინდა, რომ უფასოდ დავპატიჟოთ.



***— რამდენად ძვირადღირებულია ეს პროექტი?***

— არ არის ძვირადღირებული, მაგრამ ჯერ მთავარია კულტურის სამინისტროს ნება, მათი მხარდაჭერა, მერე უკვე კოორდინირებული საუბარი იქნება, სპონსორებსაც ვიპოვნით, რომ თანხა სხვებმაც დადონ. მთავარია, მათი ინიციატივა, რომ მხარში ამოგვიდგნენ. აბა, კულტურის მინისტრი რატომ მყავს? ის საქმის კურსში უნდა ჩავაყენო, რას ვაპირებ, მან კი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

***— გსურთ მომავალი წლის ღონისძიებების ჩამონათვალში მოხვდეთ?***

— რა თქმა უნდა. მომავალი წლის ღონისძიებების ჩამონათვალი ხომ დაიდება? ცნობილ დრამერს ჯოჯო მაიერს ჩვენთან ერთად უნდა ჩაეტარებინა კონცერტი, კულტურის სამინისტროს რომ მივწერე წერილი, მომივიდა პასუხი, ხელს აწერდა ბადრი ბაგრატიონ გრუზინსკი, ბოდიშს გიხდით, წელს მთელი თანხები ამოგვეწურაო. ეს წერილი აგვისტოში მივწერეთ და მესმის, რომ შესაძლებელია მართლაც დავაგვიანეთ. ჯოჯო მაიერმა ლატვიის ბიგ-ბენდთან ჩაატარა ასეთი კონცერტი და მეორე დღეს სტუდენტებისთვის გამართა მასტერ კლასი. ჩვენც გვინდოდა ასეთი კონცერტის ჩატარება, მაგრამ არ გამოვიდა.

***— თბილისობას წელსაც დაუკრავთ?***

— რა თქმა უნდა. 6 ოქტომბერს ჩვენ აუცილებლად დავუკრავთ. ჩვენ თბილისობაზე ყოველ წელს ვუკრავთ. თან ამდენ საქ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. პროტესტანტების მღვდელი; 3. ფრანგი კომპოზიტორი (XIX ს.); 8. მოგრძო გუნდებად შემწვარი შეზავებული ფარში; 9. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 14. შექსპირის ტრაგედია; 15. ფოტოაპარატი; 17. ... დიასამიძე; 20. ნამდვილად არსებული ნივთი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე ციცაბო, კლდოვანი ნაპირებით; 25. ბილიარდის ჯოხი; 26. თხის ჯოგი; 27. უნდობლობა; 28. იტალიური მუსიკის მცოდნე, მოყვარული; 29. შლამის თევზი; 30. სასწორის თეფში; 31. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. „... ჩვენი არსობისა“; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ძირითადი, მთავარი აზრი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. გამარჯვების უპირატესი შანსის მქონე ცხენი დოღში; 6. თეატრის კოლექტივი; 7. ერთგვარი ბრუნი ბალეტში; 10. თავბრუ; 11. დღესასწაული — მასკარადი ღია ცის ქვეშ; 12. ინგლისურ-ფრანგული ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი; 13. ცხვრის ჯოგი; 16. მწვადის შესაწვავი თავლია ღუმელი; 18. მსუსხავი ბალახი, მხლადაც გამოსაყენებელი; 19. ბატონო (თურქულად); 21. მოზრდილი მცოხნელი ცხოველი („ქორბუდა“); 24. ხის სატანვარჯიშო იარაღი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## ასტროპროგნოზი 16 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — სიახლე გწყურიათ, მიიღებთ კიდეც. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა გეხსნებათ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, საყიდლებზე წახვალთ. **ლომი** — გზიდან ფულს ელოდეთ. **ქალწული** — კითხვა გაწუხებთ, პასუხს თქვენით იპოვით. **სასწორი** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურდათ. **ღრიანკალი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, მოგწონთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — პატარა პრობლემას მოევლება, მთავარია მოინდომოთ. **მერწყული** — დაისვენეთ, შეხვდით მეგობრებს. **თევზები** — ყური მიუგდეთ ახლობლების რჩევას, ფრთხილად იყავით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი